


140 /  
1972/2

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ჯამბჯა

10  
1972



# მარში „მზად ვარ“ გრძელდება

ძვირფასო ბავშვებო!

ჩვენი დიადი სამშობლო ზეიმით ეგებება სახელოვან იუბილეს— სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს. 1974 წელს სრულდება 50 წელი მას შემდეგ, რაც კომკავშირს და პიონერულ ორგანიზაციას მიენიჭათ ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ძვირფასი სახელი. ამ ღირსშესანიშნავ თარიღებს ეძღვნება ნორჩ ლენინელთა საკავშირო მარში „მზად ვარ“, რომლის ახალი ეტაპი ეს-ესაა დაიწყო. პიონერთა V საკავშირო შეკრებამ მარში „მზად ვარ“ უფრო მრავალფეროვანი და შინაარსიანი გახადა ახალი მარშრუტების დაწესებით. აი ისინიც:



მარშრუტი „პიონერი ყველა ბავშვისათვის სამაგალითოა“ დაგეხმარებათ აღიზარდოთ კომუნისმის მშენებელი ადამიანის მორალური თვისებების მქონე მოქალაქეებად;

ნის მორალური თვისებების მქონე მოქალაქეებად;

მარშრუტი „ძლიერი, მამაცნი. მოხერხებულნი“ მიგიხმობთ სტადიონებსა და სპორტულ მოედნებზე, ტურისტულ ლაშქრობებსა და სამხედრო-სპორტული თამაშის — „ციცკრის“ პოლიგონებზე.



მარშრუტი „მშვენიერების სამყაროში“ გაგაცნობთ ხელოვნებისა და ლიტერატურის საოცრებებით აღსავსე ქვეყანას;

მარშრუტი „თემურელი“ ფხიზლად მიმოგახედებთ ირგვლივ, რათა დაუყოვნებლივ მიუშველოთ ყველას, ვისაც თქვენი დახმარება სჭირდება:



ასე რომ, წინ ძალზე საინტერესო გზა გიდევთ.

დაე სახელოვნად გაგველოთ ეს გზა!

გისურვებთ ახალ წარმატებებს სწავლაში, შრომაში, ყოველდღიურ პიონერულ საქმიანობაში!

# მხელის ქვეშ



პალკინან ჩეპკიგვილი

მხტვარი  
ღიმიტრი ზარაფიშვილი

მ ო თ ხ ო ზ ა \*

7

ერთ დღეს, გაკვეთილები რომ დამთავრდა, ბულულამ მოთხრა:

— ლევან, მოდი დიდი გზით წავიდეთ შინ.

დიდი გზით რომ წავსულიყავით, სოფელი ბოლომდე უნდა ჩავგვევლო, იქიდან კი ჩვენი სოფლისკენ შეგვეხვია. ეს გზა თურჯურ გრძელი იყო იმ ბილიჭზე, რომელითაც საერთოდ დავდიოდით.

— დიდი გზით რატომ? — გკითხე.

— ალაზნის სარწყავი არხის მშენებლობა დაიწყო. ჩვენი სოფლის-ბოლოში უკვე საერთო საცხოვრებლებს, სასადილოს, მუშათა მალაზიასა და რაღაც-რაღაცებს აგებენ.

— რაღაც-რაღაცები რაღაა?

— რა ვიცი, ჩავიაროთ და ვნახოთ.

დიდი ხანია, ლაპარაკობდნენ — ზემო ალაზნის სარწყავი არხის მშენებლობა უნდა დაიწყოს. ლაპარაკობდნენ, მაგრამ დამწყები არავინ ჩანდა. მართლა საინტერესო იყო ნახვა და დიდ გზას დავადექათ.

მზიანი დღე იყო, არც ციოდა და არც ცხელოდა. მივდიოდით შუა სოფელში და თვალები სულ აქეთ-იქით გავკვირბოდა. გზის მარჯვნივ და მარცხნივ ბაღებში გაზაფხული ზეიმობდა: ჰყვარდნენ ვაშლები, მსხლები, ატმები, კომშები... მთელი სოფელი ყვავილების ზღვაში იწყო. აყვავებული ხის ახლოს რომ შეჩერებულიყავით, გეგონებოდათ, ხე ლილინებსო, იმდენი მოზუზუხენე ფოტკარი ეხვეოდა.

ჩვენი სოფლის ბოლოში, შიშველ მიწაზე ორი ექსკავატორი მიწას თხრიდა, მიწა კი თვითსაკლელ მანქანებს მიჰქონდათ. ექსკავატორებთან სამი კაცი იდგა. ისინიც იქვე გაჩერებულ სატვირთო მანქანაში ჩასხდნენ, მომართეს და ალაზნისკენ წავიდნენ უგზოდ — პირდაპირ მიწაზე.

მე და ბულულა ცოტა ხანს ექსკავატორთან ვიდექით. ვუყუ-

\* გაგრძელება. იხ. „მინერის“ № 9.

რებდით, როგორი გააფთრებით ებრძოდა ეს რკინის მიწა-კბეჩია მანქანა ქვიშნარ მიწას, როგორ იღებდა და მანქანის ძარაში ხმაურით ყრიდა. თავის ციციხეს სამჭერ-ოთხჯერ ჩასცილიდა და დატვირთული მანქანა ადგილიდან ძლივს დაიძვრებოდა ხოლმე ღმუილით.

ექსკავატორში გამურული, პირთხელი ბიჭი იჯდა და თავის ჭკუაზე მართავდა ამოდენა გიგანტს. მხოლოდ ერთხელ შემოგვხვდა, მეჩვე ყურადღება აღარ მოუქცევია. როცა მანქანა ჩამოდგებოდა, ტვირთავდა, როცა არა — კაბინაში რაღაცას უჩხიკინებდა. მეტი იქ საინტერესო ვერაფერი ვნახეთ. ვიდექით, ვუყურეთ, მოგვწყინდა და წამოვედით.

ერთი კვირის მეჩვე კიდევ მოვინახულეთ მშენებლობა. ახლა უკვე ხალხიც ბევრი ირეოდა იქ და მანქანებიც. მთავარი გზიდან ალაზნისკენ ასფალტიანი გზა გაჰყავდათ. ცემენტის შესანახი ჩაოდანი გაეკეთებინათ და აეგსოთ. უამრავი აგური მოეზიდათ. ახლა ამწესათვის ლიანდაგს აგებდნენ. ალაზნის პირასაც ხალხი მოჩანდა. იქაც იდგა რაღაც მანქანები. ბეტონის ქარხანას აშენებენო, ვილაყამ თქვა. ჩვენი სოფლიდან რამდენიმე კაცი მუშაობდა, რამდენიმეც — იმ სოფლიდან, სადაც ჩვენი სკოლა იყო. დანარჩენები სულ უცხოები იყვნენ.

ჩვენი სოფლები ერთ ბრივადად მუშაობდნენ. სამი-ოთხი კაცი იყო და მაინც ბრივადა ერქვა. ხის მასალით დატვირთულ მანქანებს ცლიდნენ. ერთი მანქანა რომ გადმოტვირთეს, ყიღომ თქვა:

— ახლა ცოტა ქარი ამოვალბინოთ მუხლებს, შვილოსა, ცოტა გავაბოლოთ და მეჩვე მანქანას უფრო კარგად ჩამოვცილოთ! — მორზე ჩამოჯდა, ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო და გააბოლა.

ყიღო ახმახი, ფეხდიდი და თავპატარა კაცია. ბექებში ოღნავ მოხრილია. მუდამ წვერგაუპარსავი დადის. როცა გაიპარსავს, აუცილებლად სამგან-ოთხგან მაინც გაიჭრის; ბოხი, როზროხა ხმა აქვს. ისეთი მალაღია, გზაზე მიმავალი რომ დაინახოთ, ოჩოფებებზე შეიმდგარი გეგონებათ. ამის გამო სოფელში მალალ ყიღუასაც ეძახიან. მის ნაფეხურებს ყველა სცნობს, რადგან იმოდენა ფეხი მთელ სოფელში არავის არა აქვს. იმიტომ უთხრა ერთხელ ყორიაულების ბებერმა: ყიღუავ, ე ფეხები რა უბედურებამ გაგიზარდა ასე, შე უღმერთოვ, თითო ქალამნად თითო ხარის ტყავი არ გეყოფათ! ყიღოს კეთილი და ალალი გული აქვს. ამიტომაც სოფელში ძალიან უყვართ.

ახლა ეს კაცი, მორზე ჩამომჯდარი, სიგარეტს აბოლებდა. მის წინ უეცრად საბარგო მანქანა გაჩერდა, კაბინიდან საშუალო ტანის, თმაქალარა კაცი გადმოხტა და დაუცაცხანა:

— რა ბატონიშვილივით წამომჯდარხარ, ახლა ამის დროა?! ვერა ხედავ, მანქანა რომ ცდება?!


**კავკაზი**  
10  
ოქტომბერი  
1972

საქართველოს ან სს სსრკ-ის  
საბჭოთა კავშირის საბჭოთა  
საბჭოთა კავშირის საბჭოთა  
საბჭოთა კავშირის საბჭოთა  
საბჭოთა კავშირის საბჭოთა

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კვ. მ. მ. მ.

გამომცემლობა





— მოწვევის უფლება არა მაქვს, უფროსო?

— ჯერ ის მანქანა ჩამოცალე, მერე გინდა პაპიროსი მოწვი, გინდა ყალიონი. აბა, სწრაფად, ტრანსპორტს ნუ მიცდენ! ჰო, და-და-და-და, რა ალოღლეტია ჩანხარ! შენი ამხანაგები მუშაობენ, შენ კიდევ ზიხარ და აბოლებ, მერე ფული შენც და იმათაც ერთნაირად უნდა გამოგწიეროთ...

ყიღომ სიგარეტი გადააჯღო და, ზეზე რომ წამორღვა, კაბინიდან თავგამოყოფილმა შოფერმა შეიქცადა:

— აუჰ, რამსიგარე ყოფილა! ცუცავ, ამწე რად მოგქონდათ, მესამე საართულამდე აი ეგ კაცოც ასწვდება.

ცუცა რქმევია! პირველად გავიგე კაცს ასეთი სახელი ერქვას. ეტყობოდა, უფროსი იყო. მკაცრი და მყვირალა ჩანდა. მანქანასთან მივიდა და ჩვენებურებს შეუტია:

— ო, რა მუღრები ჩანხარო! თქვე კაი აღამიანებო, გადმოხსენით ძარა და ისე გადმოყარეთ. ასე თითო-თითოდ როდის უნდა გადმოალაგოთ? — თვითონვე ეცა, ახსნა ძარის გვერდები, განზე გახტა და ფიჭვის ხეები გრილათ გადმოკვივდა. რაც ზედ შერჩა, იმათაც გაჰკრა ხელი და ძირს ჩამოყარა.

— აი, ასე! მანქანა გაუშვით და ხეები წესიერად მერე დააწყვეთ.

ახლა შოფერს მიუტრიალდა:

— კარგი, ამათ გამოცდილება არა აქვთ და ვერ მოიფიქრეს, შენ რატომ არ ასწავლე, როგორ უნდა ჩამოცალონ? არ გეკადრება? გვარიშვილობა ჩამოგერთმევა თუ ჩინი? შენ იქნება არ იცი, მე ისეთი კაცი ძალიან მეგავრება, საქმეზე რომ გული არ შესტკივა, — თქვა, ისევ თავის მანქანაში ჩაჯდა და წავიდა.

მე და ბულულაც შინ წავედით. იქაურობას რომ გავშორდით, ბულულამ თქვა:

უი, რა ჯაჯღანა კაცი იყოო! ახლა ჩვენი პატარა სოფლის გზაზე მივიდოდით, თვალი კვლავ აქეთ-იქით გავვირბოდა. გაჩუღურებულ სოფლის ბაღებსა და ბოსტნებში ჭრელკაბა აპრილი იწონებდა თავს.

8

ექიმთან ორჯერ კიდევ წამიყვანა მამამ.

ეტყობა, მამამ ბევრი იფიქრა, დაასვენებლად სად გავგზავნე, და ერთ დღეს მითხრა:

— ლევან, შვილო, მოდი ამ ზაფხულს ილტოზე წავედით. იცი სადაა? თუმცა ნამყოფი არა ხარ და რა გეცოდინება. ილტოს სათავეში, დაბურულ ტყეში, ერთი ველია — კრინწათ ველს ეძახიან. აი იმ ველზე დავდგათ ქოხი. პაერი იმაზე უკეთესი სად უნდა ნახო. ცივი წყაროები — რამდენიც გინდა! ველს ჩამოუღის მდინარე ილტო. შიგ უამრავი კალმახია. წავიღოთ ლოგინი, სასმელ-საჭმელი, თოფი, ანკესები და ზაფხულს ისე გავატარებთ, უკეთესს ვერც ინატრებ.

წარმოვიდგინე ატეხილი ტყე, ტყის შუაგულში პატარა ველი, ველზე — ქოხი.

— თან მეორე საქმეც გავაკე-

თოთ, — განაგრძო მამამ, — კოლმეურნეობის საქმეები გავრეკოთ. რა დიდი მოვლა-პატრონობა იმათი საქმეობაა!

ბათ. დილით გავშლით საძოვარზე, საღამოს მოვატეხებთ. ვიცოდი, მამას სინდისი აწუხებდა. ავერ ერთი წელი სრულდებოდა, რაც კოლმეურნეობაში აღარ გასულა სამუშაოდ. არც აძალებდნენ, მაგრამ თვითონ ერიდებოდა.

მე და მამა შევეთანხმდით.

მას შემდეგ სულ თავში მიტრიალებდა: ტყე, ველი, ქოხი, მდინარე, ცივი წყაროები, კალმახი... ისე ძლიერ სურვილად მექცა იქ წასვლა, მეშინოდა — მამისთვის უარი არ ეთქვა კოლექტივის და წასვლა არ ჩაშლილიყო.

მაგრამ კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან მოლაპარაკების შემდეგ შინ მოსულმა მამამ მახარა:

— საქმე ძალიან კარგად არის. თავმჯდომარე შემპირდა, ამ ორ დღეში გავგზავნი ხელოსნებს და იმ ველზე ქოხს დაგიდგამთ. მერე მოგცემთ ცხენებს, რომ ბარგი და ჯერ-მარლი აიტანოთ. თქვენ ბაწარის გზით წახვალთ, ნახარს კი ორი კაცი ბოლოზე გამოირეკავს. ოღონდ, შენ იცი, საქონელს კარგად მიმიხედეთო.

არ მახსოვს, რაიმე სურვილი ასე იოლად აგვხდომოდეს, ან ასე კარგად აგვწყობოდეს საქმე.

ერთ კვირაში დაბრუნდნენ ხელოსნები — ქოხი მზად არისო. გამოცდები უკვე დამთავრებული მქონდა. ამინდი კარგი იდგა. შევკარით წასაღები ბარგი-ბარხანა: ლოგინი, პატარა ქვაბები, ხის ჯამები, კოვზები, ტყვია-წამალი, ნაჯახი, თოფი, დანა, საქალამნე ხარის ტყავი, ან-





კესები, მარილი, ფქვილი, ორი ქილა თაფლი... ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც კი ველად ცხოვრებისას დაგჭირდებოდა. ბარგის შეკვრაში ბუღულუაც გვეხმარებოდა.

ამ საქმიანობაში რომ ვიყავით, კარზე ფოსტალიონი იორამი მოგვადგა. ცოტა ნასვამი ჩანდა. შეკრული ბარგი რომ დაინახა, გაუკვირდა, გვეკითხა, სად აპირებთ წასვლასა.

უუთხარით.  
 — მუბლი გაეძსნა, უღვამებში ჩაელიმა.

— ვაი, საყვარელო! ამ ზაფხულს იქ ყოფნას რა გობია!

მერე ჩანთა გახსნა და მამას უთხრა, სახლის დაზღვევის ფული მიიღეო.

— რამდენია, ჩემო იორამ, ღირს რამედ?

— ღირს თუ არა ღირს, გაძღვევენ, ხომ არ გართმევენ?

მეგნით შევედით. იორამმა ბარათი შეავსო, მამას ხელი მოაწერინა და ფული დაუთვალა.

— აბა, ძმაო, რამდენადაც გქონდა დაზღვეული, იმდენი მოგცეს, ვერ დაემდურები.

— ეჰ, აბა ვის უნდა დავემდურეო. მიწისძვრამ დაშინებია სახლი, ჩემო იორამ, მთავრობას კი არ უკრავს წიხლი.

ბუღულულას გაელიმა.  
 მამამ იორამს ორი ბოთლი ღვინის ფული მისცა — ამით ჩვენ დაგვლოცეო. იორამმა მადლობა თქვა და თავის გზას ეწია.

მეორე დღეს, დილაადრიან ავკიდეთ ცხენებს ბარგი. სახლ-კარი დარიკო დეიდას და ბუღულულას ჩავაბარეთ, ფულიც დარიკო დეიდას მიაბარა მამამ. ბუღულულას ვთხოვე, წიგნები ჩემთვისაც იყიდე-მეთქი. მერე ცხენებზე შევსხედით და გზას დავედქვით.

თავი რომ მოვაბრუნე, ბუღულა ჩვენს ქიშკართან იდგა და ხელს მიქნევდა.

— ნახვამდის, ბუღულა! ნახვამდის, ნაგომურალო! — ვთქვი გულში.

მოკლე გზით წავედით ილტოსკენ; ალაზნის სათავისაკენ სამთო გზას გავყევით. მერე ბაწარის ხეობაში შევუხვიეთ და მთელი დღე დაბურულ ტყეში ვიარეთ. მივყვებოდით პატარა მდინარეს — ბაწარულას. ბილიკი ხან გაღმა გადიოდა, ხან გამოდებდა. ჩვენც ხან გავტოპეთ, ხან გამოვტოპეთ. მამა მეუბნებოდა, ამ წყალში ბევრი კალმახი იცისო.

მშენიერი დღე იყო, მზიანი, მაგრამ სხივები მიწამდე თითქმის ვერ აღწევდა — ასწლოვანი წიფლებითა და თელვებით, წაბლებითა და უთხოვრებით დაბურულ ტყეში მივდიოდით. ცხენის ნალები ქვებზე ჭახუნობდა და ტყის მყუდროებას არღვევდა. ირგვლივ ათასნაირი ბუჩქნარი ჰყვავდა. ისმოდა ჩიტების გაბმული ტიკ-ტიკი, ბაწარულას ჩხრიალი, და ეს ყველაფერი სასიამოვნო იყო, მინდოდა გზა არ დამთავრებულიყო...

საკმაოდ დიდ მანძილზე გავყევით ბაწარულას, მერე ბილიკი გორს შეეკიდა და ცხენებიდან ჩამოვხტით. აღვირები ხელში დავიჭირეთ, ნელა მივყვებოდით ქედზე დაკლანკნილ ბილიკს. მამა წინ მიდიოდა. ხშირად შევჩერდებოდით ხოლმე, ცხენებს შევასვენებდით, ქარს ამოვიღებდით...

— ჰე-ჰე-ჰე! ჰე-ჰე-ჰე! — შეძახილით ამხნევებდა და აფრთხილებდა ცხენებს მამა სახიფათო გასასვლელებსა და მისახვევებში.

მზე საშუალოდღიდან გადახრილი იყო, უღელტეხილს რომ მივალწვით, შევჩერდით — დავისვენოთო, — თქვა მამამ. ცხენებს ბარგი მოვხადეთ, ლაგმები წამოვყარეთ და ბალახზე მივეშვით. ხურჩინიდან საგზალი ამოვიღეთ,

მადიანად ვისაუბრებთ... შინ ასე ნაზუქი და შემწვარი მობრაკულოც არ მიჭამია.

დიდმა დასვენებამ გაზარმაცება იცისო. ამიტომ მალე ავკიდეთ ბარგი ცხენებს და ახლა თავიქვე დაგვყვით ბილიკს. აღმართზე გვიჭირდა, თორემ დაღმართზე, ძალიან გავახანეთ გზა. ჯერ ნახევარი გორი არ მეგონა ჩავლიო, რომ ჭალაში ჩავედით, მდინარის მუხტილიც გავივინეთ.

— ეს გახლავს ილტო! — თქვა მამამ.

ბილიკი მდინარის პირზე მეორე ბილიკს შეუერთდა. მამა ნესტიან მიწას დააკვირდა. მივხვდი, კამეჩების კვალს ეძებდა.

— არ აუვლიათ, მაგრამ არც ძალიან შორს იქნებიან! — თქვა მან.

იმ გზით, რომლითაც ჩვენ წამოვედით, კამეჩების გადმორეკვა შეუძლებელი იყო: სადაც ცხენი გაივლიდა, იქ ყველგან ვერ გაივლიდა კამეჩი. ამიტომ ორმა კაცმა წინა დღეს ბოლოზე გამორეკა ნახირო. ჭალის გზა, ჯერ ერთი, შორია, მეორეც — კამეჩს ხომ ცხენვით ჩქარა სიარული არ შეუძლია, თან, ალბათ, მუხლამდე წამოზიბინებულ ბალახს და შამბს ეხარბებიან — ძოვა-ძოვით მოდიან.

აღმა ავყევით გზას, რომელიც ველ-ტყიანებში მიდიოდა, მდინარის ნაპირ-ნაპირ. ილტო ისეთი პატარა იყო, ცხენებს მუხლგამდე ძლივს მოსწვდა. წისქვილის წყალივით წმინდა და მშვიდი მოდიოდა, მაგრამ არც ისეთი უწყინარი უნდა ყოფილიყო, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა: მისი სიგითის ნაკვალევი კარგად ეტყობოდა ჭალას: ზოგან შიმელა მურყნები ერთმანეთზე იყვინებ მიმოტილები, ზოგან კი ძირფესვიანად მოგლეჯილი ხეები გვხვდებოდა გაჩხერილ-გახიდეულები.

ჩვენ ზევით და ზევით — სათავისკენ მივყვებოდით მდინარეს.

შუაღლე კარგახნის გადასული იყო. ამ დროს სოფელში ისე ცხელოდა ხოლმე, ქაჩალს თავს დასწვავდა. აქ კი გვარიანად გრილოდა.

ბევრი აღარ გვივლია. მალი გავედით საკმაოდ მოზრდილ ველზე. შორიდანვე მოვკარი თვალი ველის თავში წამოსკუპებულ ქოხს.

— მამი, ჩვენი ქოხია? — ვკითხე მაინც.

— ჩვენია, და კარგ ადგილასაც დაუდგამთ.

ბილიკიდან გადავუხვიეთ. ცხენები ქოხის წინ რომ შევაჩერეთ, მივაძახე:

— გამარჯობა, ბროლის კოშკო!

მშენიერი ქოხი იყო, თელისა და ცაცხვის ქერქით გადახურული. წვიმა ვერაფერს დაგვაკლებდა. ყველაზე ძალიან ის მიხაროდა, რომ წყარო იქვე მოჩუხჩუხებდა. არც შეშისთვის წასვლა დაგვჭირდებოდა შორს — ტყე ჩვენს ზურგსუკან იყო. ილტო ასიოდე მეტრზე ჩამოდიოდა. საკმაოდ მოზრდილ ველზე ბალახი მუხლამდე იყო წამოზრდილი. ათასნაირი ყვავილი ჰყვავოდა. ირგვლივ მალალი, ტყიანი გორები გვეტყუა, ჩრდილოეთიდან კავკასიონის თოვლიანი ქედი დაგვყურებდა; მზის ჩასვლისას იგი საოცრად, გალამაზდა — მხატვრის მიერ დიდ ტილოზე დახატულს დაემსგავსა. ვიჯექი და თვალს ვერ ვაცილებდი...

სოფლიდან დილით წამოსულები საღამოს უკვე ზღაპრულ გარემოში აღმოვჩნდით. თავი სიზმარში მეგონა. რასაც ვხედავდი, რაც მესმოდა, ჩემთვის იყო ასეთი უცხო და მიმზიდველი, თორემ მამა მგონი ვერც ამჩნევდა. იგი დაბინდებამდე საქმით იყო გართული. საცეცხლური გამართა, შეშა მოზიდა, დაჩხა, დააწყო. მერე

ტყეში ორი საანკესე ხალხს გამოჰკრა, გაღვერა, გაასუფთავა და ქონის თავზე შეაწყო.

მზის სხივები მთის წვერებზედა იყო შემორჩენილი. მამამ რომ თქვა, ვივანშმთო, თორემ მალე დაბნელდებაო. მართლაც, ჭამა დამთავრებული არც კი გვქონდა, რომ ბინდი ჩამოწვა.

ცხენები მოვრეკე და, როგორც მამამ მითხრა, ქონის ახლოს დავაბი.

მგზავრობით დაღლილებს ძილი მალე მოგვეკიდა. ლოგინები გაშლილი გვქონდა. გავხადეთ და ჩავწეკით. მამამ საბნის ზემოდან ნაბადიც დამახურა — ღამით სიცოცვე იცისო.

მთაში პირველად ვათევი დამეს. საღდაც შორს, ტყეში ქოტები ეძახდნენ ერთმანეთს. ძილ-ბურანში ნანასავით ტკბილად მესმოდა ილტოს შხუილი.

დილით მამამ გამაღვიძა: ადექი, ჩაიცვი, სათევზაოდ წავიდეთო.

ასე არასოდეს მძინებია — რომელ გვერდზედაც დავწეკი, იმავე გვერდზე გამომეღვიძა.

მამა მზად იყო. წამოვხტი. სწრაფად ჩავიცივი. ცხენები საბალახოდ გადავებით, ქონის თავიდან ანკესის ხალხები ჩამოვიღეთ.

— უნაყოფო წასვლა არ ვარგა, მოიტეხე ორიოდე ლუკმა, — მითხრა მამამ.

დღე-ღამის გაყრის ეპი იყო, მტრედისფრად თენდებოდა, ხომლი უკვე ჩასულიყო, ხოლო ცისკარს დილა წამოსწეოდა და თავლის სანთელივით უპირებდა ჩაქრობას. დიდ ამბავში იყვნენ ჩიტები — ურიაშულით ეგებებოდნენ უღრუბლო დილას და დიდებულ მზეს.

ჩავედით მდინარეზე. ქვების ქვეშ ჭიკაყულები ვიპოვეთ, ანკესები გავმართეთ და ჩქერებში ჩავუშვით.

თურმე ყველაფერს თავისი წესი აქვს და იმ წესს ცოდნა უნდა. ჩემს ნემსკავს ახლოს არ ეკარებოდნენ, მამას კი ზედიზედ ამოჰყავდა დაწინწკლული კალმახები.

— უჰ, ბევრი თევზი ყოფილა, კარგად მოსდევს! — თქვა ნასიამოვნებდა. მერე დამაკვირდა და გაეღიმა:

— ლევან, შენ ასე ვერაფერს ვერ დაიჭერ. ნემსკავი წყალში თუ ჩაჰკიდებ და გააჩერებ, კალმახი ახლოს არ გაეკარება.

— აბა შენ როგორ იჭერ?

— ნემსკავი მდინარის დინებას აი, ასე უნდა მიყულო. კალმახი რომ დაინახავს, იფიქრებს, ჭიკაყუელა წყალს მიაქვსო. ვიღერ სხვა დაასწრებდეს, გაქანდება და აციშა. პიქირე!

ანკესი ჩქერის ზევით ჩაუშვა, წყალმაიგი გაიტაცა, მამამაც მიყულოდა ხელი და, როცა დიდი ლოდის უკან ჩქერში ჩაუშვა, ხალხას წვერი დაიკენწლა. მამამ ამოწა და აფართხალებული კალმახი ამოიყვანა.

მეც წყლის დინებას მივაყოლე ანკესი და, როგორც კი დაიკენწლა, ისე სწრაფად მოვიქნიე საჭერი, ანკესს მხოლოდ თევზის ყბა ამოჰყვა.

— ნელა, ბიჭო, დაჭერილი თევზი საღდა გაგექცევა, — მითხრა მამამ, — ასე ყველას ლაყუჩს ააცილი...

კვლავ გავმართე ანკესი, კვლავ მივაყოლე მდინარის დინებას, და როცა დაიკენწლა, ნელა ამოვწე.

გათქვირული კალმახი ამოვიყვანე.

— აი ასე, შე კაი კაცი! — შემაქო მამამ.

მზე რომ ამოვიდა, შინ დავბრუნდი. თევზი ბუერას ფოთლებზე წამოვყარეთ პარკებიდან. მე გამოწეღვას შევუდექი. მამა — ცეცხლის ანთებას. სულ მალე ცეცხლზე იდგა ჩალხანა ქვები და მარილწყალში კალმახი იხარშებოდა. რამდენიმე ცალი ხის შამფურზე წამოაგო მამამ და ნაკერცხლებს მიუფიცა.

თუ გინდა, რომ თევზი გემრიელად ჭამო, მდინარის ან შეწვივს შემდეგ კარგად გაცივება უნდა აცილო. ბუერას ფოთლებზე გასაცივებლად დაყრდი კალმახს რომ ვუყურებდი, ნერწყვი მომდიოდა. დილით ჰაერზე გასულ კაცს მგელივით მადა აქვს ხოლმე. ჰოდა, ის იყო ჭამად ვემზადებოდი, რომ ველის ბოლოში კამეჩები გამოჩნდნენ.

— ოო, მოაღწიეს, მოაღწიეს! — დაიძახა მამამ. თავაწეული კამეჩები ჯგროდ მოდიოდნენ, წინ ხარკამეჩები მოუძლოდათ, შემდეგ ფურკამეჩები მოდიოდნენ, უკან ზაქები მოსდევდნენ.

მწყემსებმა კამეჩები შუა ველზე შემორეკეს. თვითონ დაღლილი ნაბიჯებით ქონისკენ გამოემართნენ. მოვიდნენ და მოგვესალმნენ.

— ჰაი გავიმარჯოთ ღმერთმა! — უპასუხა მამამ. შიო ძიამ და ფილიპემ გუდა-ნაბადები მოიხსნეს, ქონის წინ დაყარეს და კუნძებზე ჩამოსხდნენ.

— როგორ იმგზავრეთ, ხომ არაფერი გავიჭირდათ? — ჰკითხა მამამ.

— არაფერი გავეჭირებია, მარტო მდინარეში გატოპვა-გამოტოპვამ დაგვალა, — თქვა შიო ძიამ.

— სამაგიეროდ, მაგ წყალში დაჭერილ კალმახს მოგართმევთ ახლა და დალაც დაგავიწყდებათ, — უთხრა მამამ და მოსულებს ბუერას ფოთლებზე გაშლილი კალმახი მივართვით.

კამეჩები ნამიან ბალახს მოედნენ...

ჭამას რომ მოვრჩით, შიო ძიამ და ფილიპემ თვლით ჩააბარეს მამას შვიდი ხარკამეჩი, თერთმეტი ფურკამეჩი და ექვსიც თითო წლის ზაქი.

— აი, ძაო, ნახე, ყველა ჩანსალია. ახლა შენ იცოდე მაგათი საქმე, — თქვა ძიო შიომ. — ჰო, მართლა, ნიკო, აი ის ნიკორა ფურკამეჩი, ნაპირზე რომ ძოვს, მეწველია. ნუ გააშრობთ. დილა-სალამოს ჩამოწველეთ და ლუკმას გაისველებთ. არც წუხელ ჩამოგვიწველია, არც დილას. მიხედეთ, ცოდვაა, კური შეაწუხებს. დაბმა არ უნდა, ჰკვიანია. მოსაწველად მიუჯდები თუ არა, ფეხს აღარ მოიცვლის.

— ძალიან კარგი! — მიუგო მამამ. — ოლონდ, თუ კაცი ხარ, თავმჯდომარეს უთხარი, ორი-სამი კვირის შემდეგ ჭვამარული გამოგზავნოს საქონლისათვის.

— ვეტყვი, აუცილებლად გამოგზავნით. თქვენთვისაც გამოგზავნით ჯერს, უყურადღებოდ არ დაგტოვებთ.

დაგვაგვიანდებაო, აჩქარდნენ.

ცხენები ქონთან მოვრეკე. შევეკაზმეთ. ერთზე შიო ძიო შექდა, მეორეზე — ფილიპე. დაგვემშვიდობნენ და გზას დაადგნენ.

უფრო კარგად აეწყო ჩვენი ცხოვრება, ვიდრე გვიგონა. მჭადის გამოსაცხობი კერა პირველსავე დღეს მოვაწყვეთ. მამამ მოზრდილი, ბრტყელი ქვა მოიტანა და საცეცხლურში ჩაედეთ. ქვაზე ცეცხლი დავანთეთ, კარგად გავახურეთ, მერე ნაკვერცხლები გვერდზე გავწიეთ, ნაცრიანი ქვა გავწმინდეთ, ზედ მოზრდილი მჭადი დავსვით, ღოლოს სუფთა ფოთლები დავაფარეთ და ღადარი დავაყარეთ. მალე ისეთი მჭადი წამოვაყენეთ, მთვარეს ეუბნებოდა, შენ ჩაი, მე უნდა ამოვიკიდო.

„ნიკორა ცოტას იწველისო!“ ცოტას კი არა, მთის ბალახს პირი რომ მოჰკიდა, ფერღები კარგად რომ გამოივსო, იმდენი რძე მოიყენა, დილა-სალამოს ნაწველი ჩალხანა ქვაბს აესებდა. როცა გვიწოდდა, რძეს ვაღულებდით და ვსვამდით, როცა გვიწოდდა — მაწონს ვაყუთებდით, ან კარაქს ვდღვებავდით ალუმინის სარქველში. ჩვენი ქონის წინ, ილტოს ნაპირ-ნაპირ ბილიკი გადი-



ოდა. ამ ბილიკზე ორ-სამ დღეში ერთხელ მაინც გამოჩნდებოდნენ ცხენოსანი მგზავრები... ისინი ან მთებისკენ მიდიოდნენ, სადაც მათ ცხვარ-ძროხა ეღვათ, ან მთებიდან ბარში მიეშურებოდნენ ყველ-კარაჩით დატვირთული ცხენებით. იშვიათად ხდებოდა, რომ ჩვენთან არ შემოეხვიათ და ცოტა ხანს ქობთან არ დაესვენათ.

მე და მამა მასპინძლის კვალობაზე დავტრიალდებით ხოლმე. ან კალმახს მოვხარშავდით, ან რძითა და მაწვნით გავუმასპინძლებოდით. ხშირად მთის ყვავილების ჩაისაც მივართმევდით.

არც ისინი რჩებოდნენ ვალში. ხურჯინიდან ცხავეში წამოგვიყრიდნენ ბარიდან წამოღებულ ხილს, თუნჯში ჩამოგვისხამდნენ ღვინოს; მთიდან ბარში მიმავალთ კი ჩვენთვის ხშირად ჭიხვის სახინკლე ხორციც დაუტოვებიათ და თუშური ცხვრის ყველიც.

ხან კი მთელი კვირა ისე გავიდოდა, კაცს თვალს ვერ დავკრავდით. ასეთ დროს მამას თავისი დარდი და ვარამი უღრღნიდა გულს. მეც სევდა შემომამწვებოდა ხოლმე, როცა ჩვენი დანგრეული სახლი, მიტოვებული ნაგომურალი და ეზო-კარი გამახსენდებოდა. ვიცოდი, ბულულა ყოველდღე თუ არა, ორ დღეში ერთხელ მაინც დახედავდა იქაურობას, მერე ჭიშკარს გამოიკეტავდა და

— კაცი ფიქრებს თუ მინებდა, შეიძლება გაგიყდეს! — თქვა ერთხელ საწოლზე. გულაღმა წამოწოლილმა მამამ და ზეზე წამოღვა. — წამოდი, ლევან, ვითევზაოთ. შაბათმა სტუმარი იცის, გასამასპინძლებელი სხვა არაფერი გვაქვს, კალმახი მაინც დავიჭიროთ.

ავიღეთ ანკესები და მდინარისკენ გავემართეთ. როგორც ყოველთვის, თოფიც წავიღეთ.

დილიდანვე უხალისოდ იყო მამა. ახლაც ორი სიტყვა არ უთქვამს, ისე ჩავედით ილტოზე.

ღამით იწვიმა. ეტყობოდა, მთებში ახლაც ცრიდა — მდინარე ცოტა მოდიდებული და ლუღისფრად შემღვრეული მოდიოდა.

ჭიკაყვლებს რომ ვეძებდი, მამა უცებ ლოლზე ჩამოჯდა და მომაჩერდა.

— რა მოხდა, მამი, რას მიყურებ?

— გულს ვუსმენ, შვილო.

გამეღიმა, მეგონა, მეხუმრებოდა. ისე გავიღიმე, მასაც უნდა გალიმებოდა. არ გაეღიმა და გუნება შემეცვალა.

— რას ამბობ, მამი!

— ჰო. რალაც კარგად ვერ მუშაობს, — მკერდზე ხელი მიიღო. ეს უკვე მესამედ თუ მეოთხედ იყო, რომ მკერდზე ხელმიდებული იჯდა. — არაუშავს, გამივლის.

მივხვდი, ეს ჩემს გასამხნეველად თქვა. ვიცოდი მამის ხასიათი — არაფერს დაიჩივლებდა, თუ რა-

იმე ძალიან არ შეაწუხებდა. ცოტა ხანს ჩუმად ვისხედით. მერე ველარ მოვითმინე:

— მამი, თუ კარგად არა ხარ, შინ წავიდეთ!

— არა, შვილო, ახლა უკეთ ვარ.

წამოღვა და ჭიკაყვლების ძებნა განაგრძო. მეც გახარებული წამოგხტი.

ზევით და ზევით მივყვებოდით მდინარეს. კალმახი კარგად მოსდევდა ანკესს. წყალი რომ ცოტა აიმღვრევა, ასე იცისო, ამბობდა მამა. მერე უკან გამოვბრუნდით და თავქვე დავუყვეით, იმ ვარაუდით, რომ ჩვენი „ბროლის კომქთან“ დავგვითავრებინა თევზაობა. გამოვბრუნდით, მაგრამ მტერს დაადგეს ის ღლე, რაც მე მაშინ დამადგა.

ჯერ კიღევ მურყინანებში ვიყავით, მამამ რომ ისევ მიიღო ხელი მკერდზე. ცოტა ხანს შეჩერდა, მერე ქვაზე ჩამოჯდა და დამიძახა:

— გვეყოფა, შვილო, რაც დავიჭიროთ, შინ წავიდეთ.

მაშინვე ავხსენი საჭერებიდან ანკესები. „მამა შინ წასვლას არ მოითხოვდა, კარგად რომ იყოს“, — ვფიქრობდი.

— წავიდეთ, მამი!

— მოიცა, ლევან, ცოტა კიდევ დავისვენოთ, წყნარად მითხრა.

გვერდით მივეჯექი და თვალებში შევაცქერდი. მამაც შემომხედა. ეტყობოდა, ჩემს თვალებში ჩამდგარი შიში დაინახა.

— რა იყო, ბიჭო, როგორ მიყურებ, განა სიკვდილს ვაპირებ! — გაიღიმა. მაგრამ ვაი ისეთ გაღიმებას, იმ ღიმილმა უფრო შემაშინა.

— მამი, როგორა ხარ, მამი? — ვკითხე შეშფოთებულმა...

მამამ თავი აქეთ-იქით გაიქნია და მისუსტებული ხმით მომიგო:

— ეჰ, რა ვიცი, რაღაც არ აპირებს გამიაროს.

— მამი, რა ვქნა? — ახლა უკვე ხმაც შემიცვალა შიშმა. ვიცი, კარგად ვიცი, მამას ძალიან რომ არ უჭირდეს, ასე არ იტყოდა.

— რა იყო, ბიჭო, ქალი ხომ არა ხარ, ტირილი დაიწყო! მართლაც რამე რომ დამემართოს, მაშინაც არ უნდა იტირო. კაცს კაცობა მართებს. ნუ გეშინია, მალე გამოვიღის. ავდგეთ, ნელ-ნელა ვიაროთ და შინ მისვლამდე გამოვიღის, აბა რას იზამს.

ქობისკენ მიმავალ ბილიკს დავადექით. მამა მაინცდამაინც გამართულად ვერ მოდიოდა. სანთელივით გაყვითლდა. შევატყვე, სიარული უჭირდა. თოფიც გამოვართვი და თევზიანი პარკიც. მაინც უჭირდა სიარული, სადაც კი მოზრდილ ლოდს დაინახავდა მაშინვე დასასვენებლად ჩამოჯდებოდა. ვატყობდი, შინ მისვლა ეჩქარებოდა... მივდიოდი და გზა არ ილეოდა. ქობიდან შორს არ ვიყავით, მაგრამ კაცს სიარული რომ უჭირს, მაშინ ასი ნაბიჯიც ღიდი გზაა.

— ჯობი გამომიჭერი, შვილო! — მითხრა მამამ. იჭდა ქვაზე. მარცხენა ხელი გულზე ჰქონდა მიღებული და ღრმად სუნთქავდა.

მაშინვე გამოვჭერი მურყნის ჯრხი.

— ახლა ვიაროთ, — თქვა და ჯოხზე დაყრდნობით წამოდგა. მურყნიანებიდან, როგორც იქნა, ველზე გამოვედით. გამოჩნდა ჩვენი ქობი. ახლა მთავარი იყო, როგორმე იქამდე მიმეყვანა მამა. იქ ლოგინში ჩავაწვენი, ცხელ ჩაის დავალევიებდი და აუცილებლად გაუვლიდა. მაგრამ მამას მუხლები მოეკვეთა და პირდაპირ მწვანეზე ჩამოჯდა.

— დამასვენე, შვილო! — ძლივს გასაგონად მითხრა. მერე გულაღმა გადაწვა. მარცხენა ხელი ისევ მკერდზე ეათო. ერთხანს მიყურა, შემდეგ თვალები მილულა და ჩათვლიდა.

ქობის სიახლოვე რაღაცნაირად იმედს მაძლევდა. რაკი ახლოს ვიყავით, აღარ ავჩქარებულვარ. მამას გვერდით მივეჯექი და დაველოდე; როდის გამოკეთდებოდა.

„ჩათვლიდოს, რა უჭირს, იქნება გაუაროს“, — ვამბობდი გულში. ვიჯექი და ხან მის გაუპარსავ, ჭალარა წვერს ვუყურებდი, ხან ტყისპირას წამოსუტებულ ქობს გავყურებდი. მერე ველის ბოლოში კამეჩები გამოჩნდნენ...

— მამი, ნაწვიმარ ბუსნოზე წევხარ. გაცივდები! —

ხმადაბლა ვუთხარი, როცა საკმაო დრო გავიდა.

მამა არც შეტოკებულა. დავრწმუნდი, რომ ეძინა.

„მოდი, თოფს, თევზს და ანკესებს ქობში წაიღებ, მოვბრუნდები, უფრო კარგად მივეხმარები“. წამოვხტი და მოვუსვი. თევზიანი პარკი ქობის ღირებზე დავკიდე, თოფი ლოგინის ქვეშ ამოვდევი, საჭერები სახურავზე შევეყარე...

მამასთან რომ მივედი, მეგონა, ჩემს ფეხისხმაზე გაიღვიძებდა. მაგრამ მშვიდად ეძინა. ხელი ახლაც მკერდზე ედვა, სახე კი უფრო გაყვითლებოდა.

ცოტა ხანს მის გვერდით ვიჯექი და ვფიქრობდი, გამეღვიძებინა თუ დაესვენა კარგად. მაგრამ ნესტიან მიწზე დაძინება ძალიან საშიშია. გავიფიქრე — მამა ავად არ გამიხდეს-მეთქი. ისევ ჩავძახე:

— მამი, მიწა გრღია, გაცივდები.

მეგონა, ახლა მაინც გაახელდა თვალებს. მაგრამ ვერ გავადგიძე. მაშინ ფრთხილად შევანჯღრიე:

— მამა, გაცივდები! ადექი, ქობში მივიდეთ. იქ დაისვენე!

თვალები არ გაუხელია.

— მამი, მამა! — ახლა უკვე ხმამალლა ჩავძახე.

არ განძრეულა.

ელდა მეცა. დაეჭვებულმა დავხედი მის სახეს, ხელზე ხელი მოვკადე. თითები გახევებოდა და გაყინებოდა.



შუბლზე დავადე ხელი, შუბლიც გაყინული ჰქონდა. მკერდზე დავადე ყური, გული არ ძგერდა... მაშინ მთელი ხმით დავიღრიალე:

— მამაააა! მამიიი! ვაიმე, მამაა!

მამა ვერც ჩემმა ღრიალმა წამოახედა.

...ხან ვდგებოდი, ხან მიწას ვენარცხებოდი და განწირული ხმით ჩავძახოდი:

— მამი, რას მიშვრები, მამი! რას მიშვრები, მამილოო!

უცებ რაღაც გამოუთქმელმა შიშმა ამიტაცა, ველზე გაიფით გავჯარდი, თან, რაც ძალი და ღონე მქონდა, გავყვიროდი:

— მიშველეთ! მი-შვე-ლეიეთ!

ყველაზე ღიდ შიშს ისა მგვრიდა, რომ ჩემი ხმა ძეხორციელამდე ვერ მიადწევდა, რაც უნდა მეყვირა. და მაინც ხმის ჩახლეჩამდე ვყვიროდი. ხან თავში გამიღვებდა, იქნება მამა ჯერ კიდევ ცოცხალია და მიშველებს სჭირდება-მეთქი. მოვბრუნდებოდი, მივირბენდი, ცრემლიანი თვალებით დავაცქერდებოდი, ჩავძახებდი. მერე ისევ ღრიალს ვიწყებდი, ისევ მშველელს ვეძახდი. მაგრამ არავის ესმოდა... ველზე გამოსულმა კამეჩებმა





ერთი კი მომანათეს გაოცებული თვალები და მშვიდად განაგრძეს ძოვა.

ბოლოს ხმა ჩამიწყდა, ღონე გამომეღია, ერთხანს ასე ვეგდე მიწაზე. ტვინში კი ელვასავით ინთებოდა კოთხეები:

„რა ვქნა?“

„სად წავიდე?“

„ვის შევიჩველო?“

„ახლა დღეა, ღამით რა ვქნა?“

„როგორ ვუპატრონო მიცვალებულს?“

ყველაზე ახლოს, სადაც ადამიანები მეგულებოდნენ, ეს იყო მთები: დოლათ გორი, ღოღოიანა, მაქასტახი, მასარა. იქ ედგათ ცხვარი და ძროხა მწყემსებს. იქითკენ მიიკლავებოდა ბილიკი, ჩვენი ქოხის წინ რომ გადიოდა.

„ნეტა ახლა რა დროა?“

თავი ავწიე და მზეს ავხიდე.

შუადღე იყო. მზე მალე გადაიხრებოდა ჩვენი ქოხის უკან აღმართულ ტყიანი გორისკენ. მერე სულაც მოეფარებოდა. ჩრდილი გავიდოდა ილტოს გაღმა, ტყეებს აპყვებოდა მთების წვერებისკენ. ბოლოს, მზის სხივები საჭიხვეებიდანაც აიკრიფებოდა და ჩამობნელდებოდა. მე რა მექნა, ან მამისთვის როგორ მეპატრონა, ან საქონლისათვის?

უცებ თოფი გამახსენდა. გავიქეცი, გამოვიტანე და ხუთჯერ გავისროლე, იქნება ვინმეს ყურამდე მიადწიოს, იქნება ვინმეს ჩემი გაჭირვება ვანიშნო-მეთქი.

თოფი კი ქუხდა... მაგრამ, ვინ იცის, გაიგონებდა ვინმე?

„ჯანდაბას კამეჩები! მამას როგორმე მივიტან ქოხამდე, ტახტზე დავასვენებ, ნაბადს დავაფარებ. მერე ავიღებ თოფს და მთებისკენ წავალ, სწრაფად ვივლი. მთავარია, როგორმე მწყემსებამდე მივალწიო!“

ისევე ავხიდე მზეს.

იგი წელანდელთან შედარებით გადახრილი მეჩვენა.

„უნდა ვიჩქარო!“

მამასთან მივირბინე. პირველად ხელის მოკიდებისა მეშინოდა. გავბედე და დავწვი, ავწიე, მაგრამ ძალიან მძიმე იყო.

„როგორმე, როგორმე, უნდა შევძლო.“

იღლიებში შევუყარე ხელები. ავწიე და, თავი გვერდზე რომ გადაუხარდა, კინაღამ დავიღრიალე, მაგრამ გული გავიმაგრე...

ხუთი ნაბიჯის მეტი ვერ გავიარე. არც ისე ვიყავი დიდი ღონის პატრონი და ახლა სულ მოვეშვი. ასე, წვალებ-წვალებით, საღამომდე ძლივს მივალწევდი ქოხამდე.

„ეს რა დღეა, დამადგა, რა მეშველება?“ — ვფიქრობდი.

ხელახლა ვცადე...

„ვერა, რა თქმა უნდა, ვერ შევძლებ. რაღაც სხვა უნდა ვიღონო. მაგრამ რა?..“

არ მინდოდა მამა შუა ველზე მიმეტოვებინა უპატრონოდ. მაგრამ სხვა რა გზა იყო. დროზე უნდა დავდგომოდი სამთო ბილიკს, თორემ ღამით გზა-კვალი ამერეოდა. მერე როგორ იცის დაბურულ ტყეში დაბნელება!

ქოხიდან ნაბადი გამოვიტანე და მამას სივრცე დავახურე. ავიღე თოფი, შემოვირტყი სავაზზე, შივედი მამასთან, წელან გასროლილი ჰილზები გულზე დავაწყვი. გამეგონა, რომ მონადირეები, როცა მათ ტყეში რჩებათ ნანადირევი, ზედ ახალგასროლილ ჰილზებს აწყობენ. მეორე ან მესამე დღეს მიაკითხავენ და ნანადირევი უნებლად ჰვდებათ, ნადირი არ ეკარება. ილტო-ველტების ტყეში კი დათვსა და მგელს რა გამოლევს!

ღრმად ამოვისუნთქე და სამთო ბილიკს დავადექი. ვფიქრობდი, ქალაზე სირბილით მევლო და დრო მომე-

გო, თორემ ბილიკი აღმართს რომ შეეკიდება, მერე რა სიარული ძალიან ძნელია.

ველი რომ გავირბინე, უკან მოვიხედე. მეც არ ვიცი რატომ, ალბათ ბედმა მომახედა. ცხენოსანს მოვკარი თვალი!

აი წყალობა ბედისა! ველის ბოლოში, იქ, სადაც ტყიანიდან სამთო ბილიკი გამოდის, ცხენზე ამხედრებული კაცი მოდიოდა. უკან კიდევ ორი ცხენოსანი მოჰყვებოდა.

არ ვიცოდი ის ცხენოსნები ვინ იყვნენ, ქართველები თუ გადამთიელები, მტრები თუ მოყვრები. ამის ცოდნა არც მინდოდა, ამას მნიშვნელობა არცა ჰქონდა. მთავარი იყო, რომ ისინი ადამიანები იყვნენ, შემძლო ჩემი ჭირი და მწუხარება მათთვის გამეგებინებია. ადამიანი ვიყავი და ადამიანები იყვნენ, სხვა სიასლოვე არ იყო საჭირო...

11

ნათქვამია — კაცს ერთი ფეხი რომ დაუცურდებია, მეორითაც ძირს დაეცემაო. სწორედ ასე დამემართა. ჯერ დედის სიკვდილი ვერ მომენელებინა, რომ მოულოდნელად მამაც გამომეცალა ხელიდან. მარტო დავრჩი, მაგრამ ჭირსა და მწუხარების პირისპირ მარტოკა არ დავუტოვებდივარ კეთილ ადამიანებს. ჯერ იყო იმ მწყემსებმა მანუგეშეს... თავიანთ გზა-კვალს თავი მიანებეს, ერთი მათგანი ჩვენი სოფელში წავიდა ცხენით, ხალხს შევატყობინებო, ორმა კი საკაცე გაამზადა. მზის ჩასვლისას კამეჩებს შემოუარეს, ველზე მოაგროვეს და დათვალეს. საღამოს კელაპტარი ჩამოქნეს, ტახტზე დასვენებულ მამას თავით დაუთეს. მერე ხურჩინიდან საგზალი ამოიღეს, ტყიდან ჩარეკაში ღვინოც ჩამოასხეს, დასხდნენ და შენდობა უთხრეს, ღამე უთიეს. დილას კი ჩემი სოფლები მოვიდნენ. მათ დანახვაზე კვლავ ავტირდი. ჩემი საცოდაობით ისინიც ტიროდნენ, სამძიმარს მეუბნებოდნენ. ვიტყვით, ვიღრე გული არ მოვიოხეთ. მერე უფროსმა კაცებმა მითხრეს — მიცვალებულს ტირილი ვერ გააცოცხლებს, პატოვისცემა უნდა, ცოცხალს კი ცხოვრება. გული გაიმაგრე, დარღმა და მწუხარებამ არ გაჯობოსო...

მერე ყველაფერი ჩვეულებრივ მოხდა. სოფელი ავ-კარგის მცოდნეა, მამაჩემისთვის პატივისცემა არ დაუკლიათ, რაც წესი და რიგია, ყველაფერი შესრულდა და ჩვენი სოფლის სასაფლაოს კიდევ ერთი ჯვარი მიემატა...

დავრჩი სრულიად ობოლი. ახლობელთაგან არავინ მეგულებოდა გვერდით. ერთადერთი დეიდა მყავდა და ისიც შორს იყო გათხოვილი.

ქელები რომ დამთავრდა, დეიდაჩემი და მისი ქმარი ბევრს მეხვეწნენ, — წამოდი, ჩვენთან იცხოვრე, იქ ისწავლე, საკუთარ შვილებში არ გამოგარჩევთ.

უარი ვუთხარი.

მერე ჩვენი სკოლის დირექტორმა მითხრა, წაგიყვან და სკოლა-ინტერნატში მოგაწყობო. არა ვქენი. არ მინდოდა მოვშორებოდი იმ კარ-მიდამოს, სადაც გავიზარდე და ყველაფერი მშობლებს მაგონებდა.

— რაკი ლევანს არსად წასვლა არ უნდა, იყოს შინ. აქვე ვცხოვრობ და მე მიხედავ! — თქვა დეიდა დარიკომ. არ შემპირებია, ასე და ასე მოგივლიო. მაგრამ ყველაზე მეტი ზემედი იმისი მქონდა.

— ჩვენც აქ ვართ, ჩვენც მიხედავთ, — თქვეს სხვა მეზობლებმაც.

ობლისთვის თურმე იმედიც დიდი რამეა.

ყველა წამსვლელი იმედს მიტოვებდა: თუ რამე დაგპირდეს, ან გაგიპირდეს, არ მოგვერიდო, მოგვაკითხი და მენტვის არაფერს დავიშურებთო.



ლაშქარსკრები. ქვეყანა ღრმა ძილს მისცემია. ცაზე ვარსკვლავებს ფერ-  
ხული ჩაუბამთ. ბადრი მთვარე გადმოსცქერის ქვეყანას. ნელა მის-  
ცურავს ცაზე, ზოგჯერ ღრუბლებში უჩინარდება, თითქოს ვარს-  
კვლავებს ემალებათ. შემდეგ კვლავ გაანათებს მიდამოს, ტყეშიც  
ჩაიხედავს. ხეებიც მწვანე ხავერდის კაბების შრიალით ესალმე-  
ბიან მას.

ხშირ ტყეში დედის იავნანასავით ისმის წყაროს რაკრაკი.  
ყველაფერს სძინავს, ყველაფერს: პატარა, ლამაზ, მორცხვ ყვა-  
ვილებსაც, ტანწერწერტა ალვებსაც, ცხოველებსაც...  
ნელი სიო ელამუნება ტანაშოლტილ ხეებს, ნელა არწევს კენ-  
წეროებს და სიყვარულით ეალერსება ხასხასა ფოთლებს.

მარინა ვაჟაგა,  
სოხუმის მე-5 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.

აფხაზეთის რესპუბლიკურმა საგან-  
ვო ბიბლიოთეკამ და შურნალმა „ამ-  
ცაზმა“ ჩაატარეს აფხაზეთის ნორა  
ლიბარატორთა კონკურსი, ვაჟაგაძე  
კონკურსში გამარჯვებულ რამდენიმე  
ნაშარმოვებს.

გაზაფხულა

გაზაფხულა, გაზაფხულა,  
მთიდან თოვლი გადაცურდა,  
ლეღე ნაფოტს გაეკიდა  
და მზე ცაზე დაეკიდა,

გადმოღვარა შუქი უხვად,  
ზამთარს ბოლი აადინა,  
მეც ხელგაშლით ვეგებები  
გაზაფხულის ლამაზ დილას.

ნუზარ უბილაგა,  
სოხუმის მე-6 საშუალო სკოლის VI  
კლასის მოსწავლე.

შეძიებვითა

საცოდავად კანკალებენ  
გაძარცვული ხეები, —  
ვინ გახადა სამოსელი?  
ვინ დანისლა დღეები?

ვინ წაართვა სილამაზე —  
საოცნებო ფერები?  
ან ნეტა ვინ გაიმეტა  
აგრე მშვენიერები?

მოვიმარჯვე ფუნჯები, —  
მათ ვუშველო მე მინდა,  
რომ მოვხატო ხეები  
ისევ მწვანე ფერითა.

მაგრამ მესმის ხარხარი, —  
ეს ზამთარი იცინის,  
თეთრზე თეთრ, საღებავით  
ბადის კართან იცდის ის.

ნაირა კაპულია,  
გულრიფშის რაიონის ბაბუშერის  
საშუალო სკოლის მოსწავლე.

ქართული  
ვარსკვლავი

საქართველოს ვაზი ვმღერი,  
ყველა ქვეყნის მასპინძელი,  
სიხარულის მასპინძელი,  
სიყვარულის მასპინძელი.  
მას ვადიდებ, მას ვუმღერი,  
ვინც ნამდვილად გულადია,  
ვინც ნამდვილად პურადია,  
ათასი ძმა ჰყოლია და  
ათას ერთი უნატრია.

ივოლდა ქანჭავა,  
სოხუმის მე-5 საშუალო სკოლის X  
კლასის მოსწავლე.

# საქართველოს

შენს სიდიადეს შევტრფით, შევხარით, შენსკენ ამაყად გვიჭირავს თვალი, შენთვის სიცოცხლე, შენთვის სიკვდილი არის ყოველი ქართველის ვალი.

სულ გამარჯვების დიდი გზით გველოს, ჰყვოდეს შენი მთები, ველები, შენს დასაცავად მზად ვართ ყოველთვის ჩვენ, ახალგაზრდა ლენინელები.

ვაშა ჩიხრაძე,  
სოხუმის შ. რუსთაველის სახელობის  
1-ლი საშუალო სკოლის IX კლასის  
მოსწავლე.



# გეგმობვა

მეგობრებო.

ხანიბა ჭაჭაია,  
თბილისის 66-ე საშუალო სკოლა, IV კლასი.

# სვანურში

გია და ზურიკო ერთ კლასში სწავლობენ, ერთ მერხზე სხედან და, წარმოიდგინეთ, ერთნაირი ნიშნებიც კი აქვთ. ზურიკოს დედა არა ჰყავს, მაგრამ გიას დედა საკუთარი შვილისაგან არ არჩევს მას.

გამოცდების დამთავრების შემდეგ გიას დედა, მამა, გია და ზურიკო სოჭს გაემგზავრნენ. მამას არ უნდოდა ზურიკოს გაშვება, არ შეაწუხოსო ხალხი, მაგრამ ბიჭებმა დაითანხმეს.

სოჭი... ხალხით სავსე სანაპირო... მოლივლივე ზღვა... მცხუნვარე მზე... ბიჭები აღტაცებული იყვნენ. წყლიდან არ ამოდრიოდნენ. მალე ისე გაშავდნენ, ზანგებს დაემსგავსნენ.

ერთხელ, ქვიშაში რომ გორაობდნენ, ზურიკომ ბეჭედი იპოვა. მაშინვე გიას მოუხმო. დიდხანს ათვალიერებდნენ ბეჭედს და დარწმუნდნენ, რომ ძვირფასი ნივთი ეჭირათ ხელში.

— რა ვუყოთ?  
— მოდი, გავყიდოთ და ველოსიპედი ვიყიდოთ, — თქვა გიამ.

— გაგიუღი? მისი პატრონი, ალბათ, თავქუდ-მოგლეჯილი დარბის და დაეძებს.

უცებ სამი შავკანიანი ტურისტის დაინახეს, რომლებიც ცხარედ კამათობდნენ და აქეთ-იქით იყურებოდნენ. ბიჭები მიუახლოვდნენ მათ.

— ეს თქვენია? — ჰკითხა ზურიკომ და ბეჭედი მზეზე ააელვარა.

— ეტო მოე! მოე! — აღელვებით წამოიყვირა ერთ-ერთმა მათგანმა და ბეჭედს ხელი სტაცა, თან ბიჭს მოეხვია. ზურიკომ გიაზე მიუთითა:

— ეტო მოი დრუგ.



ზანგმა მასაც მოხვია ხელი, ფოტოგრაფს დაუძახა და სამხსოვრო სურათი გადაიღო ბიჭებთან ერთად. ყველა მათ უყურებდა. ზანგები თეთრ კბილებს აელვებდნენ. გია და ზურიკოც კმაყოფილი იყვნენ: მათ შავკანიანი მეგობრები შეიძინეს.

ვიორბი ონიანი,  
სოხუმის 1-ლი საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე.

ხანმადრი

ციური გომოლაშვილი.  
თბილისის 62-ე საშუალო სკოლა, IV კლასი.





დაბადების 100 წლისთავი

კოტე

# გაჩანდისძე

ქართველი ხალხი დიდი ზეიმიით აღნიშნავს თავისი სახელოვანი შვილის, გამოჩენილი საბჭოთა რეჟისორის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის კოტე მარჯანიშვილის დაბადების 100 წლისთავს.  
ფასდაუდებელია მარჯანიშვილის ღვაწლი რევოლუციამდელ და საბჭოთა რუსულ თეატრალურ ხელოვნებაში, გან-

საკუთრებით კი ქართული საბჭოთა თეატრის სარბიელზე. სცენის ამ უნიჭიერესმა ოსტატმა თავისი მოღვაწეობით საბჭოთა ქართული თეატრის ფუძემდებლისა და ქართული თეატრალური ხელოვნების რეფორმატორის საპატიო სახელი დაიმკვიდრა.  
კონსტანტინე ალექსანდრეს ძე მარჯანიშვილი დაიბადა სოფელ ყვარელში,

1872 წლის 9 ივნისს. დაამთავრა თბილისის პირველი გიმნაზია. ბავშვობიდანვე გატაცებული იყო სცენით — მონაწილეობდა სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში. 1894 წელს ოცდამეორე წლის ასაკაზრდამ იწყო პროფესიულ სცენაზე გამოსვლა; ჯერ ქუთაისის ქართულ თეატრში შევიდა მსახიობად, შემდეგ თბილისის დასში განაგრძო მოღვაწეობა. მისი მასწავლებლები იყვნენ ცნობილი ქართველი მსახიობები: კოტე მესხი, ლადო მესხიშვილი და კოტე ყიფიანი.

1897 წელს კოტე მარჯანიშვილი საფუძვლიანი სასცენო განათლებისა და გამოცდილების მისაღებად რუსეთში გაემგზავრა. სათეატრო სასწავლებელში შესწავლა ვერ მოახერხა და მსახიობად მუშაობდა რუსეთის პროვინციულ დასებში — ელისავეტგრადში, ორიოლში, კურსკში, ხარკოვში, ქერჩში, ლუგანსკში, ტაშკენტში, აშხაბადში, ბაქოში, ვიატკაში, ტამბოვში, უფაში, ირკუტსკში და სხვ.

ამრიგად, მარჯანიშვილი წლების მანძილზე პროვინციული აქტიორის მძიმე ჭაპანს ეწეოდა და ბევრი გაჭირვება გადაიტანა თეატრების კერძო მესაკუთრეთა ხელში. მაგრამ მსახიობად მუშაობამ მაინც დიდი სარგებლობა მოუტანა ახალგაზრდა შემოქმედს. მარჯანიშვილმა კარგად შეისწავლა და პრაქტიკულად შეითვისა აქტიორული ოსტატობის არსი, ბუნება და ტექნიკა, გაეცნო რუსული თეატრის მრავალი ათეული მსახიობის სასცენო ხელოვნების თავისებურებას. ერთი სიტყვით, კოტე მარჯანიშვილმა დიდი გამოცდილება შეიძინა მომავალი სარეჟისორო მოღვაწეობისათვის.

პირველად რეჟისორობა სცადა 1900-1901 წლების სათეატრო სეზონში ქალაქ ვიატკაში, სადაც დადგა ა. ჩეხოვის პიესა „ძია ვანო“, მომდევნო სეზონებში კი უფასა და ირკუტსკში უკვე რეჟისორად და მსახიობად მუშაობდა.

რეჟისორული მოღვაწეობის დაწყებისას მარჯანიშვილი გატაცებული იყო მოსკოვის სამხატვრო თეატრის რეალისტური შემოქმედებითი მიმართულებით, აგრეთვე ა. ჩეხოვისა და მ. გორკის დრამატურგიით, რომელშიც მკვეთრად იყო გამოსატყული პროტესტი რუსეთში არსებული მონარქისტული წყობილებისადმი. მარჯანიშვილი შესანიშნავად დგამდა მ. გორკის პიესებს — „მდაბიონი“, „ფსკერზე“ და სხვ. ამ დადგმებმა მარჯანიშვილს სახელი მოუპოვეს, როგორც ნიჭიერ, პროგრესულად მოაზროვნე რეჟისორს, და 1904 წელს იგი რეჟისორად მიიწვიეს ქ. რიგაში, კ. ნეშლობინის რუსულ თეატრში, რომელიც საუკეთესო პროვინციულ თეატრად ითვლებოდა.

ორი სეზონის მანძილზე კოტე მარჯანიშვილმა იქ რამდენიმე თანადროული შინაარსის პიესა დადგა და დიდი წარ-



მატება მოიპოვა. ამ დადგმათა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა მ. გორკის პიესა „მოაგარაკენი“, რომელიც კ. ნეზლობინმა მოსკოვშიც კი უჩვენა მაყურებელს 1905 წლის გაზაფხულზე. ამის შემდეგ კოტე მარჯანიშვილმა საბოლოოდ დაიმკვიდრა რუსული თეატრის ერთ-ერთი საუკეთესო რეჟისორ-ნოვატორის სახელი. ნეზლობინის თეატრიდან წასული კ. მარჯანიშვილი რეჟისორად მუშაობდა ხარკოვში, კიევიში, ოდესაში, აწყობდა საგასტროლო მოგზაურობებს დასავლეთ რუსეთის, სამხრეთისა და ვოლგისპირეთის ქალაქებში.

1909 წლის მიწურულში კოტე მარჯანიშვილი რეჟისორად მიიწვიეს მოსკოვის სამხატვრო თეატრში. ამ სახელმწიფო თეატრში კოტე მარჯანიშვილმა სამი წელიწადი დაჰყო. დადგა კ. ჰამსუნის დრამა „ცხოვრების ბრჭყალებში“, რომელსაც მაყურებლის დიდი მოწონება ხვდა.

1913 წელს კოტე მარჯანიშვილმა მოსკოვში საკუთარი თეატრი დააარსა „თავისუფალი თეატრის“ სახელწოდებით. მან თავი მოუყარა რუსული დრამატული, საოპერო და საოპერეტო ხელოვნების საუკეთესო ძალებს და მიზნად დაისახა თეატრალური ხელოვნების

კოტე მარჯანიშვილის უდიდეს შემოქმედებით გაქანებასა და მხატვრულ გემოვნებას.

სამწუხაროდ, უსახსრობის გამო თეატრმა მხოლოდ ერთი სეზონი იარსება. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ კოტე მარჯანიშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საბჭოთა რუსული თეატრის შექმნაში. ამის უდავო საბუთია ლოპე დე-ვეგას დრამის „ცხვრის წყაროს“ ბრწყინვალე დადგმა, რომელიც ქართველმა რეჟისორმა განახორციელა 1919 წელს კიევის რუსულ თეატრში. ეს იყო ერთ-ერთი პირველი რუსული რევოლუციური სპექტაკლი. თორმეტი დღის განმავლობაში იგი განუწყვეტლივ იდგმებოდა და ყოველი წარმოდგენა მაყურებელთა ოვაციით და „ინტერნაციონალის“ სიმღერით მთავრდებოდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართული თეატრი ძირეულ გარდაქმნას საჭიროებდა, რადგან მენშევიკური მთავრობის სრული უყურადღებობის გამო შემოქმედებითად ძალზე ჩამორჩენილი იყო. ეს საქმე გააკეთა კოტე მარჯანიშვილმა. იგი საქართველოში დაბრუნდა 1922 წლის სექტემბრის დამდეგს და რუსთაველის თეატრში „ცხვრის წყარო“ მოამზადა იმავე

„ცხვრის წყაროს“ პირველი წარმოდგენა, რომელიც 1922 წლის 25 ნოემბერს გაიმართა, ქართული თეატრის დღესასწაულად იქცა, რადგან ამ სპექტაკლით დამტკიცდა, რომ ქართულ თეატრს საკმაო ძალები მოეპოვებოდა (განსაკუთრებით ახალგაზრდების სახით) მხატვრული გარდაქმნისათვის, და საჭირო იყო მხოლოდ ნიჭიერი მოთავე. ეს მოთავე კი კოტე მარჯანიშვილი გახლდათ. მისი „ცხვრის წყარო“ გამოირჩეოდა რევოლუციური სულისკვეთებით, დინამიკურობით, დაძაბული რიტმით, სიმწყობრითა და ანსამბლურობით. სცენაზე გამოჩნდა ერთი მხატვრული მიზნით მოცული დასი, რომელმაც პარმონიულ მთლიანობაში მოაქცია სასცენო ოსტატობის ყველა ელემენტი — სიტყვა, მოძრაობა, მუსიკა, მხატვრობა.

„ცხვრის წყაროს“ დადგმის შემდეგ ერთხმად იქნა აღიარებული ქართული თეატრის განახლების სრული შესაძლებლობა. გაზეთი „კომუნისტი“ რეცენზიაში წერდა: სპექტაკლმა რევოლუცია მოახდინა ქართული თეატრის ცხოვრებაში.

ამრიგად, „ცხვრის წყარო“ დიდხნივნიელის ეტაპია ქართული თეატრის ისტორიაში და ქართული საბჭოთა თე-



სცენა სამხატვრო თეატრის „ცხვრის წყარო“

ამ სამივე დარგის საუკეთესო ნაწარმოებთა ჩვენება. სახელი გაითქვეს ამ თეატრში დადგმულმა მ. მუსორგსკის ოპერამ „სოროჩინის ბაზრობამ“ და ჟ. ოფენბახის ოპერეტამ „მშვენიერმა ელენემ“. თეატრის დადგმები მოწმობდნენ

გემით, როგორც დადგა კიევიში. წარმოდგენა საოცარი სისწრაფით მომზადდა — 70 სამუშაო საათში! ეს, უწინარეს ყოვლისა, აიხსნებოდა იმ დიდი გაცაცებით და ინტერესით, რაც მარჯანიშვილმა დასს შთაუხერგა.

ათრი ამ თარიღიდან ითვლის თავის წილთაღრიცხვას. კოტე მარჯანიშვილი ოთხი სეზონის განმავლობაში სათავეში ედგა რუსთაველის სახელობის თეატრს და ბევრი ბრწყინვალე დადგმა განახორციელა. მან დაახლოვდა და დააწინაურა ქართუ-

ლი თეატრის ახალი ნიჭიერი ძალები. ესენი იყვნენ რეჟისორები: ა. ახმეტელი, დ. ანთაძე, კ. ბატარიძე, მხატვარი ნ. გამრეველი, კომპოზიტორი თ. ვახვახიშვილი, მსახიობები: გ. ანჯაფარიძე, თ. ჭავჭავაძე, ს. თაყაიშვილი, ხ. ჭიჭინაძე, ა. ვასაძე, გ. გოძიაშვილი, გ. დავითაშვილი, ა. ჟორჟოლიანი, გ. სარჩიშვილიძე, შ. ღამბაშიძე, უ. ჩხეიძე, ა. ხორავა და მრავალი სხვა.

მაგრამ მართო დრამატული თეატრის განახლებით არ განისაზღვრება კოტე მარჯანიშვილის მოღვაწეობა ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში. მან მთელი რიგი თპრები დადგა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას იმ დროს არსებულ თეატრალურ სტუდიაში; 1926-1928 წლებში შექმნა რამდენიმე საინტერესო ფილმი საქართველოს კინოსტუდიაში.

ტოლერის „პოპლა, ჩვენ გცოცხლობთ“. 1930 წელს თეატრი საგასტროლოდ გაემგზავრა მოსკოვსა და ხარკოვში. ეს იყო ქართული თეატრის ბირველი გასტროლები საქართველოს გარეთ. შემდეგ მოსკოვში დაიწყო რუსთაველის თეატრის გასტროლები. ორივე თეატრის წარმოდგენებმა დედაქალაქის მაყურებელთა უდიდესი ინტერესი გამოიწვია და სახელი გაუთქვა ქართულ სათეატრო ხელოვნებას.

1930 წლის შემოდგომიდან მეორე სახელმწიფო თეატრი თბილისში გადმოვიდა და კ. მარჯანიშვილის გარდაცვალების შემდეგ მისი სახელი შეერქვა.

კოტე მარჯანიშვილი გარდაიცვალა 1933 წლის 17 აპრილს.

„ხელოვნების მიზანი სულ უბრალო რამ არის — მიანიჭოს ადამიანს სიხარული, შთაუნერგოს მას მხნეობა“, — წერდა კოტე მარჯანიშვილი. ხელოვნე-



სვენა სპეტაკალიდან „მისი დახელება“

1928 წელს მარჯანიშვილი კვლავ დრამატულ თეატრს დაუბრუნდა და ქუთაისში მეორე სახელმწიფო თეატრი დააარსა. ამ თეატრში თავი მოუყარა საუკეთესო მსახიობებს და ერთხელ კიდევ უჩვენა თავისი დიდი ნიჭი და მხატვრული გემოვნება. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია თანამედროვე საბჭოთა შინაარსის ნაწარმოებებს. ამ თეატრის დადგებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, შ. დადიანის „კაკალ გული“, კ. კალაძის „როგორ“ და „ხატიჯე“. გ. გუსტოვის „ურიელ აკოსტა“, ჟ.

ბის მიზნის ეს ღრმავსროვანი განსაზღვრა ზუსტად შეესატყვისება და გამოხატავს თვით მარჯანიშვილის რეჟისორული შემოქმედების არსს. ამ ნიჭიერ ადამიანში ჭარბად იყო სიხარულისა და სიმხნევის გრძნობა, რაც წითელ ზოლად გასდევდა მის შემოქმედებას. მისი დადგმების უდიდესი ნაწილი, განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდში, სიხარულისა და სიმხნევის მკაფიო გამოხატულებაა.

ბ. ზუხნიავილი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

# კაციაობა

(თამაზ მწუხრისას)

თამაზ მწუხრისას მიწამ ზეცას შეუთვალა:  
— შამღერნება მწაღიანო.  
— გვადროვეო!  
გამოვარდა გარეთ მთვარე.  
(კრებაა და ვარსკვლავთ არ გვიცალიანო).  
მზემა ბრძანა:  
— ვგვიანდები,  
ჩავდივარ და მეჩქარება ძალიანო.

(თამაზ ვინსკარისას)

დაბალი შაირით შეპბედა მიწამ ცას: — შამღერნება მწაღიანო.  
მაღალი შაირით უბრძანა ცამ:  
— შენთვის რომ არა მცალიანო?!  
მუხლი უცვალა კაფიას მიწამ:  
— მემღერება და მაღლიათ...  
ცამ ჰფიცა დაბლა მიწა და მაღლა ცა:  
— მზესა სძინავს და, რა ვქნა, გენაცვალე? ადრეო!

# სამშობლო განიოჯი

მე ჩავუქროლე გამთენიისას შენს ხოდაბუნებს და შენს ვენახებს, ფიქრი მომდევდა ფეხდაფეხ ნისლად, გაღვიძებული, მსურდა მენახე.

იწვოდა შენი ვაზი და ყანა, გზაზე ღვივოდა შენი ყველა ხე, მეწამულობდა ცა და ქვეყანა და შენს საუფლოს სიზმრად ვეახელ.



მიორგი  
ხაჯაშვილი

მხატვარი  
რევაზ ცუცაქრიძე

# პატარა მსახიობები

მოთხრობა

აბა რა ჰქონდა დასამდური კახას — სოფლის გოგო-ბიჭები თან გადაჰყვინენ, ალაზანზეც დაჰყავდათ სათევზაოდ, ჭი-აურის ტყე ფეხით შემოატარეს, მთელი შორაქანი ცხენებით გადათქერეს.

რომელი ერთი მოიგონოს: შეჯიბრებები ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენ-ბურთში. ერთი სიტყვით, თვალეში შესცივინებდნენ, რა გაეხარდებოდა, რა ესაიამოვნებოდა. ვინ მოთვლის, რამდენჯერ აიყვანეს სიღნაღში თამარ მეფის დროინდელი ციხე-გალავნის დასათვალიერებლად.

კახა ყველას უყვარდა — კეთილი, თავაზიანი და თავმდაბალი ბიჭი იყო, ნაკითხი, განვითარებული. ისეთ საინტერესო ამბებს ჰყვებოდა, უკვირდათ, ამდენი რამ საიდან იცისო.

ყოველთვის მოუთმენლად ელოდა საზაფხულო არდადეგებს. ყველაზე მეტად ბებოსთან ჩასვლა უხაროდა.

კახას შრომა ეხალისებოდა. მართალია, ბებია უფრთხილდებოდა, მაგრამ ბიჭი უსაქმოდ ვერ ისვენებდა. ხან წალღს აიღებდა, ხან თოხს დაავლებდა ხელს, ხან წერაქვს. აკი იტყოდა ხოლ-

მე ბებია: კახას ჩამოსვლა ჩემს ეზო-ყურეს ხელად დაეტყობა ხოლმეო.

მაგრამ ერთბაშად კახა გულჩათხრობილი გახდა. იშვითადალა გამოდიოდა სათამაშოდ, ერთთავად სახლში, ან ეზოში იჯდა და წიგნს კითხულობდა.

დაღონდნენ ბიჭები. ერთმანეთში გაიკითხ-გამოიკითხეს: ვინ რა დაუშავა, ვინ რა უთხრა საწყენიო, მაგრამ არავინ იცოდა რა.

...სალამრ ხანი იყო. ნახირი სოფლის ორლობეებს მოეფინა. კახამ აზმუვლებულ ძროხას ჭიშკარი გაუღო, გომისაკენ გაიგდო. ამ დროს მეზობლის გოგომ დაუძახა:

— კახა, კახა!  
— შენა ხარ, თებრო? ახლავე. — ძროხა გომში შეიყვანა და სწრაფად გამობრუნდა, თებროსთან მივიდა.

— გიამ შემოგიტყალა, ხვალ სიღნაღში არ წამოხვალო?

— რა ვიცი... საქმე აქვს?

— ჰო, ერთად მივდივართ, კომკავშირის რაიკომში გამოგვიძახეს. ძალიან გთხოვ, კახა.

— კარგი, წამოვალ. დილით?

— ავტობუსს გავეყვებით.

მეორე დღეს ავტობუსი, რომელშიც კახა, გია, თემური და თებრო ისხდნენ, სიღნაღის მთის მიხვეულ-მოხვეულ გზაზე მიგუგუნებდა. ბოლოს ავტობუსი პატარა, ლამაზ პარკთან გაჩერდა. მეგობრები შიგ შევიდნენ. ბაღს მარცხნივ მაღალი კედელი მისდევდა. კახას ყურადღება მემორიალურმა დაფამ მიიპყრო.

— ამ კედლის ძირას დაკრძალულნი ეულაკთა ბანდასთან ბრძოლაში დაიღუპნენ. — უთხრა გიამ.

— არ ვიცოდი, — თქვა კახამ, თან დაფაზე გვარებს კითხულობდა.

— კრაწაშვილის კომკავშირული ბილეთი მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია... — უთხრა თემურმა. — თუ გინდა, გარევენებ, აქვეა, ახლოს.

— საინტერესოა. წავიდეთ.

მუზეუმი თამარის ციხე-გალავნის ერთ დიდ შენობაში იყო მოთავსებული. ყოველი ექსპონატი დიდი გულისხმიერებით და გემოვნებით იყო შერჩეული. ისინი ამომწურავად მოუთხრობდნენ მნახველს ქიზიყის წარსულსა და გაჭირვებაზე, მრავალწლოვანი წინააღმდეგობის წინააღმდეგობის გმირულ ბრძოლებზე.

— აი, კრაწაშვილის კომკავშირული ბილეთი! — წამოიძახა თემურმა.

კახა ცნობისმოყვარეობით დააცქერდა ბილეთს. იქვე მახლობლად პიონერული წითელი ყელსახვევი გამოეფინათ. იგი ერთ ადგილას გაჭრილი იყო, სისხლის ლაქები ემჩნეოდა. კახამ ჩარჩოში მოთავსებული წარწერა წაიკითხა და...

— აი, ამის პატრონს დავეძებ მთელი ზაფხული! — სიხარულით შესძახა მან და მეგობრებს ყელსახვევზე მიუთითა.

— ყელსახვევის პატრონი ჩვენი კოლმეურნეობის ბულალტერია, — თქვა გივიმ, — ჩემი მეზობელი.

— ბულალტერი? კისერი რომ აქვს მოქცეული?

— ჰო, ის არის... თავის პიონერულ წარსულზე ისეთ ამბებს ჰყვება ხოლმე, თმები ყალყზე დაგიდგება.

კახამ იმ დღესვე მოძებნა მოხუცი ბულალტერი. არა, ახლა ვეღარ ამჩნევდა მოგრებულ კისერს, დადამბლავებულ მკლავს, ვერ ამჩნევდა კისერზე ღრმა ნაჭრილობებს. კახას წინ იჯდა გმირი... აცახცახებულმა, გაღიმებულმა მოხუცმა სურათი გაუწოდა.

— მიცანი?

კახა დააცქერდა სურათს. სურათიდან ათი გოგო-ბიჭი იღიმებოდა. მოკლე შარვლები, წითელი ყელსახვევები...

მათ ღიმილს ნახევარი საუკუნე ინახავს ეს სურათი. ნახევარი საუკუნეა პირველი პიონერების სახეებს ბედნიერების ღიმილი დასთამაშებს.

— ეს თქვენა ხართ? — დაადო თით ერთ-ერთს კახამ.  
— არა, ეგ სამამულო ომში დაიღუპა!

— ესა?  
— არა, ეგ დიდი ხანია ჭლებით მოკვდა.

— ეს?  
— ჰო, მე ვარ, — სინანულით ჩაილაპარაკა. — ეპ, რა კარგი დრო იყო! — მოხუცმა სივრცეს მიაპყრო მზერა და, თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდა, ხმადაბლა განაგრძო: — მე და სოსო გლეხკომის სახლში ვცხოვრობდით. მაშინ პირველად გაიხსნა ის სახლი. დაობლებულ ბავშვებს სახელმწიფო უფასოდ ინახავდა — აჭმევდა, აცმევდა, ასწავლიდა. დიდი მეოცნებე და კვიმატი ბიჭი იყო სოსო. ზოგჯერ ფიქრებში დამეგები გაგვიტენებია. ვნატრობდით იმ დროს, როცა მთელს დედამიწაზე საბჭოთა ხელისუფლება დამყარდებოდა. მეოცნებენი ხან სად დავდრწოდით, ხან სად. დამით ტყისპირა სასაფლაოზეც კი გვიხეტიან. მართალი გითხრა, ძალიან მეშინოდა სასაფლაოზე სიარულისა, მაგრამ სოსო მამხნევებდა: ადამიანი ცოცხალია საშიში, მკვდარმა რა უნდა დაგიშავოსო. მფრინავ რაზმებს — ასე ერქვა კომკავშირულ ბრიგადებს, რომლებიც ქალაქს დარაჯობდნენ — ხშირად გავუფრთხილებივართ, დამლამობით ნუ დაწანწალდებითო. ერთ დამეს, სასაფლაოზე, თამარის ციხის გარე ეკლესიასთან, რომელსაც „წმიდათ გიორგი“ ერქვა, ფაჩიფუჩი შემოგვესმა. სასაფლაოს ქვეებს ამოვეფარეთ. ეკლესიის კარმა გაიჭრიალა და შიგ. სამი არღილი შევიდა. მივცოცდით ეკლესიასთან. სოსო ზურგზე შემაღდა და სარკმლიდან ჩაიხედა. ეკლესიის შიგნით უცნობებმა საფლავის ქვეას ძირი გამოუთხარეს, გამოთხარეს რაღაც შეინახეს და მიწა მოტყუენეს. სუნთქვაშეკრულნი იქამდე ვიყავით ჩასაფრებულნი, ვიდრე უცხო ლანდები პირჯერისწერით არ მოსცილდნენ „წმიდათ გიორგის“.

იმავე დამეს შევატყობინეთ მფრინავი რაზმების შტაბს. რაზმელებმა „წმიდათ გიორგისთან“ საფლავის ქვეა გამოსწიეს და უამრავი ოქროს ფული იპოვეს. უფროსმა უბრძანა, გამოთხარის ხელუხლებლად დაეტოვებინათ და ეკლესიას უჩინრად გარშემორტყმოდნენ.

სამ დღე-ღამეს იყვნენ ჩასაფრებულნი. მხოლოდ მეოთხე დღეს მოვიდნენ უცხო სტუმრები და, როცა საფლავის ქვეას ძირს უთხრიდნენ, უსისხლოდ შეიპყრეს.

ისინი ცნობილი ავაზაკები აღმოჩნდნენ.

ჰოდა, იმ დღეებში „აკის“ კლუბში („აკი“ ახალგაზრდა კომუნისტთა ინტერნაციონალს ნიშნავდა.) პიესას ვამ-



ზადებდით. მე რეჟისორი გახლდით. მაგრამ ბანდიტების დევნაში მე და სოსომ რეპეტიციები გავაცდინეთ. დრამწერის წვერებმა თავზე კაკალი დაგვამტვირთეს. მარიაში კი ზედ ცხვირთან მუშტებს გვიტრიალებდა. გვითხვებოდა: ჯერ საღერდელი აგვიშალეთ, აგვაცუცურუკეთ, რეპეტიციები დაგვაცუცუბინეთ და ახლა თვითონვე აცდენთო... მერე პირგამეხებული კარისკენ გაეშურა. იმ დროს გოგოები შინ იყვნენ გამოკეტილნი და „საარტიტოდ“ ვის სცხელოდა. ერთი სიტყვით, მარიაში და ნინო რომ წასულიყვნენ, ჩვენი დრამწერ დაიშლებოდა. რა უნდა გველონა?

უცებ სოსომ წამოიყვირა: — ჩვენ უფრო მნიშვნელოვანი საქმე სხვა გვექონდა! მომისმინე!

მარიაში შეჩერდა და გაკვირვებით მოგვხედა.

შემეშინდა, სოსომ არაფერი წამოაყრანტალოს-მეთქი.

მართალია, მარიაში ზედმეტად ცნობისმოყვარე გოგო იყო, საიდუმლოს მანაც სიკვდილამდე შეინახავდა. მაგრამ საიდუმლო საიდუმლოა. სხვა რომ არა ყოფილიყო რა, ამ ამბის გახმაურების მიზეზით, შეიძლება, პიონერთა რიგებში აღარ მივედეთ.

— გისმენთ! — ცივად თქვა მარიაში.

— გეტყვით, — შემპარავად დაიწყო სოსომ, — ოღონდ ერთი პირობით — არსად ხმა...

— დედას გეფიცებთ, კრინტასაც არ დავძრავ! — უეცრად მოლბა მარიაში.

— შენა? — ჰკითხა სოსომ.  
— მეც.  
— ჰოდა, იცით სად ვიყავით? ორთავე სმენად იქცა.

— გუშინ მეეტლეთა ეზოში, ჩვეის პირას კაკანათები დავაგეთ.

— გვატყუებ! — შეჰყვირა მარიაში.  
— დამაცადე, მარიაში, მათქმევინე...

სალამო ხანი იყო. დანგრეული სახლის კედელს ამოფარებული მე, კახა და ვანო ჩიტებს ვუთვალთვალდით. უეცრად კედლის მეორე მხრიდან ჩურჩული მოგვესმა.

— ვინ იყვნენ?! — ვერ მოითმინა მარიაში.

— დამაცადე, გოგო! რა ვიცი, ვინ იყვნენ, კედელს იქით საიდან დავინახავდით!

— გადაიხედავდი და ნახავდი.  
— თუ არ დამაცდი, გავჩუმდები!

— მერე, მერე?  
— ჰოდა, ყური მივუგდე, გავიგონე

— ამაღამ თაღოს ცხენი უნდა მოვიპართო.

— თაღოს ცხენი?! — გაიკვირვა მარიაში.

— იცი რა ცხენია? მთელი კახეთის თვალთა, ნამდვილი წვესურაა. — თქვა ვანომ.

სიცილს ძლივს ვიკავებდი, პირი ფანჯრისკენ ვიბრუნე.

— მერე, მერე? — ჩანს, გაღიმება შემამჩნია მარიაში.

— ჰოდა, ორნი იყვნენ. ქურდობის დრო დათქვეს, მაგრამ ვერ გავიგეთ ზუსტად... გაუჩინარდნენ, თვალი ვეღარ მივატანეთ.

— რა დოყლაპიები ხართ! ერთი იქ ვყოფილიყავი!

— ვითომ შენ დაინახავდი?! თავს გავყოფდით თუ არა, შეგვამჩნევდნენ.

— მერე, მერე?  
— მერე რა, დამე იქ გავათენეთ...

— და არ მოვიდნენ, არა? — დაცინვით შეაწყვეტინა სიტყვა.

— ჰმ, რატომ გგონია, რომ არ მოვიდნენ! წადი და ნახე მილიციაში! მარიაშის მამა მილიციაში მუშაობდა. ბედად, წინაღამეს შინ უთქვამს, ცხენის ქურდები დავიჭირეთო.

— ეს სიმართლეს ჰგავს... აგრე გეთქვა თავიდან, — მოტყუა მარიაში.

— საიდან მოიგონე, ბიჭო! — ვკითხე სოსოს, რეპეტიციის შემდეგ მართომ რომ დავჩრით.

— ამ დილას მეეტლე ნანეზა ლანარაკობდა: ვიღაც ბიჭებმა ცხენის ქურდები დაიჭირესო.

ბოლოს და ბოლოს, გოგო-ბიჭებისაგან შეგოწიწებულმა ჩვენმა დრამწერმა მყურებელთა ყურადღება მიიქცია. ხალხი „ქონდარა არტიტებს“ გვეძახდა. უკვე



გვერდნი და საკუთარი დეკორაციები, ტან-საცმელი, იარაღი.

... გლახები მოუთმენლად ელოდნენ სიღნაღელ მსახიობებს.

მაშინ ქიზიყში ავკაცები დათარეშობდნენ. ხალხს თავზარსა სცემდნენ კულაკური ბანდები — ცეცხლს უკიდებდნენ საბჭოთა შენობებს, ხოცავდნენ კომუნისტებს.

მონასტრის მუხნარებს რომ გავცდით, მზე ცივგომბორის მთის იქით იძირებოდა. საკმაოდ დაქანებულ თავივეზე ჩავუხვიეთ. მივდიოდით მხიარულად, ოხუნჯობით. როგორც იქნა, ეს გაუთავებელი და საშინლად დამქანცველი ცოცაბო ფერდობიც ჩავიარეთ. ხევს შევუდევით თუ არა, მარიამმა იკივლა:

— პიესა?... ვისა აქვს პიესა?!

ყველანი ერთ ადგილას გავქვავედით. პიესა სიღნაღში დაგვრჩენოდა. ორი საათის შემდეგ კი ფარდა უნდა გახსნილიყო. მართალია, როლები უპირად ვიცოდით, მაგრამ ენრიკო და ვახტანგი პირველად გამოდიოდნენ სცენაზე და, რა თქმა უნდა, უსუფლიოროდ ჩაფლავდებოდნენ.

— ენრიკო! — დავიძახე.

ენრიკო ერთხანს შეეყოყმანდა.

— მარტო?!

— მეც გამოვყვები! — წამოიძახა ვახტანგმა.

— აბა, ჩქარა, ორ საათში მოასწერებთ.

მოკურცხლეს. თვალს რომ მოეფარნენ, შიშმა შემოიპყრო. წელანაც მოგახსენეთ, ხიფათიანი დრო იყო—მეთქი.

— მეც გავყვები, — თქვა სოსომ.

— წადი! — ვუთხარი.

სოსო ყვირილითა და ხელეზის ქნევით დაედევნა მეგობრებს.

საბჭოს შენობის გვერდით, კლუბის ეზოში, თავმჯდომარე, ძია გიორგი, უხალისოდ შემოგვეგება.

— ეს თქვენა ხართ მსახიობები?! —

გაოცდა ის, როცა ცილა-ცადა გოგობიჭები შეგვათვალა. თავი უკმაყოფილოდ გაიქნია. მერე სცენაზე ჩუმად შეგვიყვანა, — ხალხმა არ დაგინახოთ, თორემ იყვირებენ, ამ ცინგლიანებმა წამოდგენა როგორ უნდა დადგანო.

— ულგაშები ჩამოიტანეთ? — უმადურის კილოთი შემეგითხა თავმჯდომარე.

— ჩამოვიტანეთ. თოფებიცა გვაქვს, ხმლებიც.

— ჰმ, თოფები, ხმლები... მერედა, დასძრავთ?

პასუხი აღარ გაგვიცია. ჩაცმას შევედევით.

ბიჭები არ ჩანდნენ.

კლუბი ხალხით გაიჭედა. ჩვენი გულის წუხილი თავმჯდომარეს გავანდეთ. იგი ერთხანს შემინებული გვიყურებდა. მერე, თითქოს რაღაც გაახსენდაო, ბუზ-

ღუნით გატრიალდა, ფარდის წინ გავიდა და მთელი ნახევარი საათი ესაუბრებოდა მაყურებლებს კოლექტივში ნებაყოფლობით გაერთიანების შესახებ. ხალხს მოზურდა მისი ლაპარაკი და აყაყანდა: ჩვენ წარმოდგენის სანახავად გვაქვს ფული გადახდილიო. ყაყანს სტვენა და ყვირილი მოჰყვა. სახეჯარხლებული თავმჯდომარე გაცოფებული შემოვარდა.

— ვშმაკსაც წაუღია თქვენი თავი! ხალხი წარმოდგენის საყურებლად მოვიდა, თქვენ კი...

— ვიწყებთ!

ყველამ გაოცებით შემომხედა. პირველ სურათში მე და მარიამი გამოვდიოდით. როლები ორივემ უპირად ვიცოდით. გავაფრთხილე, პაუზები გაეხანგრძლივებინა. ნინო უპიესოდ ჩავსვი სუფლიორის ჯიხურში. ეს აუცილებლად მივიჩნიე — ზოგი რამ მაინც ემახსოვრება—მეთქი, თანაც სუფლიორის იმედი მეხსიერებას წაახალისებდა.

ტაშის გრილში დავხურეთ პირველი სურათის ფარდა. ამ დროს ბიჭებიც ქაქანით შემოცვივდნენ...

მეორე სურათსაც დაძაბული უცქერდა ხალხი. მესამე სურათში პოლიციელის როლს ენრიკო ასრულებდა. თოფი უნდა ესროლა გაქცეული ბოლშევიკისთვის. კულისებში გასროლის ნიშანი მივეციოთ. ის კი გარინდებული იდგა... მერე რატომღაც სიცილი აუვარდა. იდგა და ხარხარებდა. იმის უაზრო სიცილს დარბაზიც აჰყვა. არც ენრიკომ იცოდა და არც ხალხმა, რაზე იცინოდნენ.

ფარდა დახურეთ. გაცოფებული მარიამი თმებში სწვდა ენრიკოს...

წარმოდგენა გაგრძელდა. ყველა კარგად თამაშობდა. მარიამმა ხომ გვასახელა და გვასახელა. ტაშიც დაიშახურა და ალტაცების შეძახილებიც.

გამარჯვებას უკვე წინასწარ ვხეი-

მოზღოთ. წარმოდგენის დასასრულს აღარაფერი აკლდა, რომ ვილაცამ სცენაზე ბაყაყი ამოაგლო. ბაყაყი მარჩამის წინ დაეცა და სტუნვა დაიწყო. საწყალმა გოგომ იყვირა და რა იყვირა! რამდენიმე წუთში მთელი სცენა ბაყაყებით გაივსო. შიშისაგან გულწასული მარიამი ძლივს მოვებრუნეთ. ფარდა დავეშვი. დარბაზში ალიაქოთი ატყდა...

სცენის უკანა კედელი გამოხერგული ყოფილა. სად იყო და სად არა, იმ გამოხერგული კედლიდან ხულიგნები შემოგვიცვივდნენ. ატყდა ცემა-ტყეპა. ვახტანგმა და ენრიკომ იარაღი დააძრეს. ამასობაში ძია გიორგი შემოვარდა კომკავშირელებთან ერთად და ხულიგნები იჭვე, სასოფლო საბჭოს სარდაფში ჩაყარეს.

იმ ღამეს სიღნაღში მარტოდ წასვლა საშიში იყო, ამიტომ თავმჯდომარე გამოგვიცხადა: დილაზე საბჭოში დარჩებით, გოგოებს კი მე წაიყვან შინაო...

თავმჯდომარის კაბინეტი დავბინავდით.

-- მოთავსდებით როგორმე, არც ისეთი გოლიათები ხართ. — გვეუბნებოდა გიორგი.

— იმ სიგრძე მაგიდაა, „აკის“ კლუბის მსახიობებიც დაეტყვიან, — გაიცივნა მარიამმა.

— ამ გრძელ მაგიდასთან აღმასკომის თხუთმეტი წევრი თავსდება, — სერიოზულად თქვა გიორგიმ. კედელზე ლენინის დიდი პორტრეტი ეკიდა. თავ-





# ხალდა ერთი ბიჭისა

ბ ი ო რ ბ ი ბ ი ბ ე ა უ რ ი

მაშინ გავიგე, რა ყოფილა მოულოდ-  
ნელი სისხარული.

— რა ეშმაკი გემართება! გადი, გეძა-  
ხიან! — ჩამჩურჩულა სოსომ.

— ხედავ? — უთხრა მოხუცმა კახას  
და ფოტოსურათს თითი დაადო, — ყვე-  
ლანი ლიბკნეტელები ვართ. იმ დროს  
როზა ლუქსემბურგის სახელობის პი-  
ონერული ორგანიზაციაც იყო. ეს სურა-  
თი მეორე დღეს გადავიღეთ. აბა, და-  
აკვირდი, — თითოეულის სახეზე რა  
სიამაყეა აღბეჭდილი. მაშინ ჩვენს ცხო-  
ვრებაში რაღაც არაჩვეულებრივი მოხ-  
და. ვგრძნობდი, რომ ბედნიერზე ბედ-  
ნიერი ვიყავი. მიწაზე გაბედულად ვა-  
ბიჯებდი, თავი უკვე ვაჟაკით მეგონა.  
სწავლასაც სხვა თვალით შევხედე, ერ-  
თი სული მქონდა სანამ მერხს მივუჯ-  
დებოდი.

ანაგის ეკლესიაში, რომელიც სოფლის  
კლუბად იყო გადაკეთებული, კვირა დღეს  
მორიგი სპექტაკლი გვქონდა. რაიონში  
ისე გავითქვით სახელი, რომ ყველგან  
სისხარულით გვეგებებოდნენ. იმ დღე-  
საც ასე იყო.

პიესის დამთავრების შემდეგ ხალხი  
სცენაზე ამოვიდა. ხელში აგვიტაცეს...  
მერე სოფლის აქტივმა ვახშამი გაგვი-  
მართა და დილით ხილეულით ხელდამ-  
შვენებულები გამოგვისტუმრეს.

მაისის თბილი დილა იყო. მხიარუ-  
ლად მივყვებოდით ანაგის ხეობას. სი-  
ცილ-კისკისში ვერც კი შევამჩნიეთ,  
როგორ გავანახევრეთ ქვა-დორდიანი ხე-  
ობა. ხურშის წისქვილთან უცებ სამი  
ახალგაზრდა გამოგვეჩვირა, მარიამი გა-  
აჩერეს და სიცილი დააყარეს:

— გოგო, ეგ წითელი ყელსახვევი  
თეთრ ფეხებზე მოიხვიე.

მარიამმა ამრეზით შესხდა უცნობებს.  
ვიცანი — ბოდბისხვევლი ხულიგნები  
იყვნენ, სცენაზე ბაყაყები რომ ამოგვი-  
ყარეს. ერთმა მათგანმა კისერზე ხელი  
მომხვია და დაცინვით მითხრა: რა ძა-  
ლიან გიხდება ეს წითელი ყელსახვევიო.  
მე ხელი ავუკარი, მან ბებუთი იძრო  
და... მომიქნია... მეტი აღარაფერი მახ-  
სოვს... ეჭიმები მამშვიდებდნენ, ყველა-  
ფერი გაივლისო. მაგრამ ჩემს კისერს  
აღარაფერი ეშველა. ასე დამრჩა კულა-  
კების „სახსოვრად“. იმის მერე, აგერ,  
თითქმის ორმოცი წელი გავიდა.

ამ დროს ოთახში დიდი ბურთით პა-  
ტარა, ბუთხუზა ბიჭი შემოვარდა.

— გაიცანი, კახა, ეს ჩემი შვილი-  
შვილია!..



1.

ომი. ტყვიების სეტყვა...  
მამა სამშობლოს იცავს  
და გულკანივით ფეთქავს  
ცეცხლმოდებული მიწა.

მამა მტერს ხვდება მკერდით,  
არ უშინდება ტყვიას,  
მისი ძახილიც ერთვის  
თოფ-ზარბაზნების გრიალს.

მტერი მოძვრება მაინც,  
შავი გველივით, წივის,  
თერგზე კანკალებს ნავი,  
თერგზე ტივტივებს ტივი.

წყალზე მოზღვაუდა ურდო,  
სურს გადმოლახოს თერგი,  
გამოლმა ლომი ბუდობს  
და სანგარს ათბობს მკერდით.

სიკვდილს სიკვდილზე გზავნის,  
ნაბიჯს არა დგამს უკან,  
დასცქერის ორბის თვალით  
ქვიმეხზე გაშლილ რუკას.

აგერ, აქ ხალხი სახლობს,  
ხალხი მის ბრძოლას ხედავს  
და აქვე ფრონტის ახლოს  
შვილი, ცოლი და დედა...

მცირდება მამის რაზმი,  
მტარვალი ძალებს იკრებს,  
სინინებს,  
ზომავს მანძილს,  
მთისკენ გაიჭრას იქნებ.

2.

სოფელი უსმენს ძახილს:  
— მამას სჭირდება შველა!  
ყველამ დატოვა სახლი,  
ყველა შფოთავს და ღელავს,

ყველა იარაღს ისხამს,  
სანგარს ეძებს და ირჩევს,  
სოფელი იქცა რისხვად,  
ძახილი ისმის ისევ:

— შველა სჭირდება მამას,  
შველა სჭირდება მამულს!  
თერგთან გამართულ დრამას  
თერგთან დანთებულ აღმურ

არა, არ უჩანს ბოლო,  
კიდე არ უჩანს, არა...  
მტერთა ბანაკი ბოლავს  
და შავი ჩანლი ჰფარავს.

მამას უდგანან მხარში,  
ჭალაროსნები სოფლის,  
არავინ რჩება ვალში  
ტყვიით,  
სისხლით და ოფლით...

და მეთაურის ბიჭი,  
ბიჭი ქვეული ქარად,  
ბრძოლის სურვილით იწვის  
მკერდით აჭკვრია ქარაფს.

ბლუჯავს პატარა ხელით  
ხელყუმბარების კონას,  
კლდესთან მოჭრილი ჭიქურ  
ტანკი გააპო ორად...

მეშველი რაზმის „ვაშა“  
ყურში ჩაესმა უცებ  
წითელდროშიან ლაშქარს,  
გული თერგივით უცემს.

წინ გაირეკეს ურდო  
და გაიფიქრეს შორეთს,  
ძლევდა სკოლდნია მუდამ  
კავკასიონის გორებს.

ბიჭი ეხვევა მამას,  
ნატყვიარს უხვევს ბეჭთან,  
და ცრემლებს ველარ მალავს  
ის, ვინც მომხდურებს ლეწდა...

# თქვენი ზოგადი

ჩინებო აიგავაჟოვი

მხატვარი ჯემალ ლოღუა

(ნაწახები მოთხრობიდან „თეთრი ხომალდი“)  
ზ ლ ა კ ა რ ი



ეს დიდი ხნის წინათ მომხდარა. ძველად, ძალიან დიდი ხნის წინათ, როდესაც დედამიწაზე ტყე უფრო მეტი ყოფილა, ვიდრე ბალახი, ხოლო ჩვენ მხარეში წყალი კარბობდა ხმელეთს.

დიდი, ცივი მდინარის ნაპირზე უცხოვრია ერთ ყირგიზულ ტომს. ენესაი ერქვა თურმე იმ მდინარეს. ის აქედან შორს, ციმბირში მიედინება. იქამდე რომ მოაღწიო, სამი წელი და სამი თვე უნდა აჭენო ცხენი. ახლა იმ მდინარეს ენისეი ჰქვია, მაშინ კი ენესაის ეძახდნენ. სიმღერაც იმიტომ იყო ასეთი:

არის განა მდინარე შენზე ფართო, ენესაი,  
არის განა მიწა შენზე მშობლიური, ენესაი,  
არის განა დარდი შენზე ღრმა, ენესაი,  
არის განა ნება შენზე ლაღი, ენესაი.  
არ არის მდინარე შენზე ფართო, ენესაი,  
არ არის მიწა შენზე მშობლიური, ენესაი,  
არ არის დარდი შენზე ღრმა, ენესაი,  
არ არის ნება შენზე ლაღი, ენესაი.  
აი, ასეთი იყო მდინარე ენესაი.

სხვადასხვა ჯურის ხალხი ცხოვრობდა მაშინ ენესაიზე. ძალიან უჭირდათ, რადგან ერთმანეთში გაუთავებელი დავა და შუღლი ჰქონდათ: ბევრი მტერი ეხვია გარს ყირგიზთა ტომს. ხან ერთი ეხმოდა თავს, ხან მეორე. ხან თვითონ ყირგიზები მიდიოდნენ სხვებზე სალაშქროდ, მოერეკებოდნენ საქონელს, ცეცხლს აძლევდნენ მათ საცხოვრებლებს, ხოცავდნენ ადამიანებს. კლავდნენ ყველას განურჩევლად, ვისზეც ხელი მიუწვდებოდათ — ასეთი დრო იყო. კაცი კაცს აღარ ინდობდა. ადამიანი სპობდა ადამიანს. საქმე იქამდე მივიდა, რომ აღარავის სურდა დაეთესა პური, პირუტყვი მოეშენებინა, სანადიროდ წასულიყო. უფრო იოლი იყო ძარცვით ცხოვრება: მიხვედი, მოკალი, წამოიღე. მკვლელობისთვის კი უფრო დიდი სისხლით უნდა აგო პასუხი, შურისგებისათვის — უფრო დიდი შურისგებით. და, რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეტი სისხლი იღვრებოდა. ხალხს გონება დაებინდა. არავინ იყო, რომ მტრები შეერიგებინა. ყველაზე ჰკვიანად და საუკეთესოდ ის ითვლებოდა, ვისაც შეეძლო მტერი დაერბია, პირწმინდად ამოეწყვიტა სხვისი გვარი, დაეტაცა ჯოგები და სიმდიდრე.





ტიგაში გამოჩნდა უცნაური ფრინველი. მთელი ღამე განთიადამდე გალობდა, მოთქვამდა საწყალობელი ხმით, ტოტიდან ტოტზე ფრუნდა და გაიძახრდა: „დიდი უბედურება მოხდება! დიდი უბედურება მოხდება!“ ასეც მოხდა, ის საშინელი დღეც დადგა.

იმ დღეს ყირგიზთა ტომი ენესაიზე ასაფლავებდა მოხუც სარდალს. მრავალი წლის მანძილზე უძლოდა მათ ბატირი კულჩე, მრავალ ლაშქრობაში, მრავალ ხელჩართულ ბრძოლაში ყოფილა... ბრძოლებში გადარჩა, მაგრამ დადგა მისი სიკვდილის ეამი. ღრმა მწუხარებას მიეცა მთელი თვისტომი ორი დღის მანძილზე. მესამე დღეს გადაწყვიტეს, მისი ნეშტი მიწისთვის მიეზარებინათ. ძველი ჩვეულების მიხედვით, მეთაურის ნეშტი უკანასკნელ გზაზე, ენესაის ნაპირებით, ქარაფებსა და ციკაბოებზე უნდა ეტარებინათ, რათა ამ სიმაღლიდან გარდაცვლილის სული გამომშვიდობებოდა დედამდინარეს — ენესაის. „ენე“ — ხომ დედას ნიშნავს, ხოლო „საი“ — კალაპოტი, მდინარეა. რომ მის სულს უკანასკნელად ემღერა ენესაისთვის:

არის განა მდინარე შენზე ფართო, ენესაი,  
 არის განა მიწა შენზე მშობლიური, ენესაი,  
 არის განა დარდი შენზე ღრმა, ენესაი,  
 არის განა ნება შენზე ლაღი, ენესაი,  
 არ არის მდინარე შენზე ფართო, ენესაი.  
 არ არის მიწა შენზე მშობლიური, ენესაი,  
 არ არის დარდი შენზე ღრმა, ენესაი,  
 არ არის ნება შენზე ლაღი, ენესაი.

დასაკრძალავ გორაკზე გაჭრილ საფლავთან ბატირის



ნეშტი თავს ზემოთ უნდა აეწიათ და წუთისოდ მდინარეზე კუთხით გაეხედებინათ: „აი შენი მდინარეა, აი შენი მიწა. აი ჩვენ, მთელი შენი მოდგმა. ჩვენ ყველანი მოვედით შენს გასაცოლებლად. იძინე მშვიდად“. შორეულ შთამომავალთათვის მოსაგონებლად ბატირის საფლავზე ქვის ლოდს დებდნენ.

დაკრძალვის დღეს მთელი გვარის იურტებს მდინარის ნაპირზე ჩამწყვრივებდნენ, რომ ყოველ ოჯახს საშუალება ჰქონოდა, თავის პარმალთან გამოთხოვებოდა ბატირს, როდესაც მის ნეშტს უკანასკნელ გზაზე ჩაატარებდნენ, მიწაზე დაეხარათ მწუხარების თეთრი ალამი, ეკივლათ და ეტირათ, და მერე სხვებთან ერთად წასულიყვნენ მომდევნო იურტისკენ, სადაც ისევ იქნებოდა მოთქმა, ტირილი და კვლავ დაიხრებოდა მწუხარების თეთრი ალამი, და ასე გზის დასასრულამდე, ვიდრე დასაკრძალავ გორაკამდე არ მიადწევდნენ.

იმ დღით მზის ამოსვლისთვის ყოველგვარი სამზადისი დამთავრდა. გამოიტანეს კვერთხები ტარზე დამატარებელი ცხენის კულებით, გამოიტანეს ბატირის საომარი აღჭურვილობა — ფარი და შუბი. მის ცხენს გადააფარეს სამგლოვიარო ყაჯარი. მესაყვირეები მოემზადნენ საბრძოლო საყვირებში — კერნეში ჩასაბერად, მელოლეები მზად იყვნენ დაეცხოთ დაფი — ღობულბასეები, ისე მძლავრად, რომ ტიგა შეტორტმანებულოყო, ჩიტები ღრუბლებივით აჭრილიყვნენ მაღლა და კენესითა და ჟივოლ-ხივილით აეკლოთ ზეცა, რომ მხეცები ველური ფრთხივით მოდებოდნენ უღრანს, ბალახი მიწას დაკვდომოდა, ექოს ექუხა მთებში და მთები შეძრულიყვნენ. მოზარე ქალებმა მთები ჩამოიშალეს, რომ ცრემლით ქება-დიდება შეესხათ ბატირ კულჩესთვის. ჯივოტებმა ჩაიმუხლეს, რომ თავიანთ მძლავრ მხრებზე აეწიათ მისი ნეშტი. ყველანი გაფაციცებულიყვნენ ბატირის გამოსვენების მოლოდინში. ტყის პირზე საბელით ება საქვლებო ზვარაკი ცხრა ფაშატი, ცხრა ხარი და ცხრა ათეული ცხვარი

და ამ დროს მოხდა მოულოდნელი რამ. ენესაიზე მცხოვრებთ რა დიდი მტრობაც უნდა ჰქონოდათ ერთმანეთში, მეთაურის დაკრძალვის დღეს მეზობელზე თავდასხმა წესად არ იყო. ახლა კი მტრის ლაშქარი, რომელსაც განთიადისას შეუმჩნევლად ალყა შემოეერთა ყირგიზების მწუხარებით მოცული დასახლებებისთვის, ყოველი მხრიდან გამოცვივდა თავშესაფრებიდან ისე, რომ ვერავინ მოასწრო იარაღის ასხმა, და დაიწყო ჯერარნახული ხოცვა-ჟლეტა. ხოცავდნენ ყველას განურჩევლად. ასე ჰქონდა მტერს ჩაფიქრებული — ერთი დარტყმით ალეგავა პირისაგან მიწისა ყირგიზთა კანდიერი მოდგმა. კლავდნენ ყველას, რომ არავინ დარჩენილიყო, ვისაც დაამახსოვრებოდა ეს ბოროტება, არავინ დარჩენილიყო შურისმაძიებელი, რომ დროს ქვიშა წაეყარა წარსულის ნაკვალევსათვის. იყო და აღარ არის.

ალამიანის გაჩენასა და გაზრდას უნდა დიდი დრო, თორემ მოკვდინება წამის საქმეა. ბევრი უკვე აჩეხილი ეყარა და სისხლის ღვრაში იხრჩობოდა, ბევრმა, მახვილისა და შუბისაგან თავის დასაღწევად, მდინარეს მისცა თავი და ენესაის ტალღებმა იმსხვერპლა. ნაპირის ხრამების და ფლატეების გაყოლებით კი მთელ კილომეტრებზე გიზგიზებდნენ ყირგიზთა ცეცხლმოდებული იურტები. მტერს ვერავინ გაეჭვა, აღარავინ დარჩა ცოცხალი. ყველაფერი დაინგრა და დაიწვა. დამარცხებულთა გვამები ხრამებიდან ენესაიში გადაყარეს. მტერი ზეიმობდა: „ამიერიდან ეს მიწები ჩვენი! ამიერიდან ეს ტყეები ჩვენი! ამიერიდან ეს საქონელი ჩვენი!“

მდიდარი ნადავლით მიდიოდა მტერი და ვერ შენიშნეს, როგორ დაბრუნდა ტყიდან ორი ყმაწვილი — გოგო და ბიჭი. გაუგონარები და ცელქები, ისინი ჯერ კიდევ

დილაუთენია, გეპარენ მშობლებს და იქვე ახლოს, ტყეში წავიდნენ ხოკერების მოსაწნავი ნორჩი ლადნის მოსატანად. თამაშს შექყვენ და ვერ გაიგეს, როგორ შევიდნენ ღრმა ტევრში, ხოლო როცა ბრძოლის ხმაური და ყვირილი მოესმათ და შინ გამოიქცნენ, აქ უკვე ცოცხალი აღარ დახედრიათ, არც დედ-მამა და არც და-ძმა. დარჩნენ ბავშვები ღვთის ანაბარა. ტირილით გადარბოდნენ ერთი ნახანძრალიდან მეორეზე. მაგრამ არსად ძეხორციელი არ ჰქანებდა. ერთ საათში დაობლდნენ. მარტოდმარტონი დარჩნენ ამ ქვეყნად. შორს კი მტერის კორიანტელი იდგა, მტერი თავის სამფლობელოში მიერეკებოდა სისხლიან თარეში ნაშოვენ ჯოგსა და რემას. ბავშვებმა დაინახეს ფლოქვებისაგან ავარდნილი ბული და უკან გაედევნენ. მოსისხლე მტერს ტირილითა და ვედრებით მისდევდნენ ბავშვები. მხოლოდ ბავშვებს შეეძლოთ ასე მოქცეულიყვნენ. იმის მაგივრად, რომ დამაღვოდნენ მკვლელებს, ისინი უკან დაედევნენ, ოღონდ მარტონი არ დარჩენილიყვნენ, ოღონდ გასცლოდნენ ამ დარბეულ, წყეულ ადგილს.

ბიჭი და გოგო ხელობელჩაიკიდებულნი მისდევდნენ მტერს, ევედრებოდნენ მოეცადათ მათთვის, თან წაეყვანათ, მაგრამ, აბა, ვინ გაიგონებდა მათ სუსტ ხმას ზრიალში, ჭიხვინსა და ფლოქვების თქარათქურში.

დიდხანს, სასოწარკვეთილი მირბოდნენ გოგო და ბიჭი. მაგრამ მიანც ვერ დაეწივნენ. მერე კი მიწაზე დაუარდნენ. შიშისაგან უკან არ იხედებოდნენ, არ ინძრეოდნენ. შემზარავი შიში დაეუფლათ. ერთმანეთს მიეკვრნენ და ვერც კი შენიშნეს, როგორ ჩაეძინათ.

ტყუილად როდი უთქვამთ — თბოლს განგება იფარავსო. ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. მხეცი არ გაკარებიათ, ტყის ოჩოკოჩებს არ წაუსხამთ. რომ გაიღვიძეს, უკვე დილა იყო. მზე ანათებდა. ჩიტები გალობდნენ. ბავშვები ადგნენ და ისევ მოძალადეთა კვალს დაადგნენ. გზა-გზა მცენარეთა ფესვებსა და კენკრას აგროვებდნენ, გზა არ ილეოდა. მესამე დღეს ერთ გორაკს მიადგნენ. ხედავენ — ქვევით ფართო, მწვანე ველზე დიდი ღრეობაა გაჩაღებული. უთვალავი იურტა დგას, ურიცხვი კოცონი ბრიალებს; რამდენი ხალხია კოცონების ირგვლივ, ვერ დათვლი. ქალიშვილები საქანელებზე ქანაობენ, მღერიან; ფალანგები, ხალხის თავშესაქცევად, სვავებივით ტრიალებენ, ერთმანეთს მიწაზე ანარცხებენ. მტერი ზეიმობს გამარჯვებას.

ბიჭი და გოგო გორაკზე იდგნენ და მიახლოვებას ვერ ბედავდნენ. მაგრამ ძალიან ეწადათ მისულიყვნენ კოცონებთან, სადაც შემწვარი ხორცის, პურისა და გარეული ხახვის მადისმომგვრელი სუნის ტრიალებდა.

ბავშვებმა ვერ მოითმინეს და დაბლა დაეშენენ. მასპინძლები გაოცდნენ მათ დანახვაზე, გარს შემოეხვივნენ.

— ვინა ხართ? საიდან?  
— ჩვენ მშვირები ვართ, — მიუგეს ბავშვებმა, მოგვეცით საჭმელი.

მასპინძლები მათ ლაპარაკზე მიხვდნენ ვინც იყვნენ. აყაყანდნენ, დაიწყეს კამათი: მოეკლათ ისინი, ამოწყვეტილი გვარის ნაშიერები, ახლავე, თუ ხანთან წაეყვანათ. ვიღრე ისინი კამათობდნენ, რომელიღაც გულმოწყალებე ქალმა ბავშვებს თითო ნაჭერი მოხარშული ცხენის ხორცი მისცა. ისინი ბავშვებს ხანთან მიათრევდნენ. ბავშვები კი ხორცს ვერ ელეოდნენ. ბოლოს მიიყვანეს მაღალ, წითელ იურტაში, რომლის წინაც ვერცხლის ნაჯახებით შეიარაღებული მცველები იდგნენ. მთელ ბანაკს მოედო შემამოფოთებელი ამბავი: არავინ იცის საიდან გაჩნდნენ ყირგიზთა მოდღმის ბავშვები. რას უნდა ნიშნავდეს ეს? ყველამ თავი ანება გართობასა და ღრეობას და ხანის იურტას მიაწყდა. ხანი კი ამ დროს თავის სახელგანთქმულ მეომრებთან ერთად თოვლივით თეთრ ნაბაღზე



იჭდა, თაფლით შეზავებულ კუმის შეექცეოდა და მის სადიდებლად შეთხზულ სიმღერებს ისმენდა. როცა გაიგო, რისთვისაც მოვიდნენ მასთან, განრისხდა: „როგორ გაბედეთ ჩემი შეწუხება? განა პირწმინდად არ ამოვეყუეთ ყირგიზთა ტომი? განა არ გაქციეთ ენესაის მფლობელებად აწ და მარადის? რას შექუჩებულხართ, თქვე მხალალებო? შეხედეთ, ვინ არის თქვენს წინ! ჰეი, ჩოფურა, კოკლო დედაბერო, — დაიძახა ხანმა და, როცა დედაბერი ხალხს გამოეყო, უბრძანა: — წაასხი ესენი ტაიგაში და ისე მოაწყვე, რამ ამით აღსრულდეს ყირგიზთა ტომი, რომ მისი ხსენება გაქრეს, მისი სახელი მოისპოს უქუნითი უკუნისამდე. წადი, ჩოფურა, კოკლო დედაბერო, და მოიქეცი ისე, როგორც მე გიბრძანებ...“

უსიტყვოდ დაემორჩილა ჩოფურა, კოკლი დედაბერი, ბიჭსა და გოგოს ხელი ჩაჰკიდა და იქაურობას გაეცალა.

დიდხანს მიდიოდნენ ტყე-ტყე. ბოლოს მდინარე ენესა-  
ის ნაპირას ერთ ციკაბო ქარაფზე გამოვიდნენ. აქ ჩო-  
ფურა, კოჭლმა დედაბერმა ბავშვები შეაჩერა, ერთმანე-  
თის გვერდი-გვერდ ქარაფის პირზე დააყენა და, ვიღრე  
ხელს ჰკრავდა, წარმოთქვა:

— ოჰ, დიდებულო მდინარე, ენესაი! შენს სიღრმე-  
ში მთა რომ ჩააგდო, ქვასავით ჩაიძირება; ასწლოვანი  
ფიჭვი რომ ჩააგდო, ნაფოტივით წაიღებ. მიიღე შენს  
ტალღებში ორი პატარა ქვიშის მარცვალი — ადამიანის  
ორი ნაშიერი. მათი ადგილი არ არის დედამიწაზე. აბა,  
რა ჩემი თქმა გინდა, ენესაი? ვარსკვლავები რომ ადამი-  
ანებად ქცეულიყვნენ, ცაზე ვერ დაეტეოდნენ; თევზები  
რომ ადამიანებად ქცეულიყვნენ, მათ მდინარეები და  
ზღვები არ ეყოფოდნათ. აბა, რა ჩემი თქმა გინდა, ენე-  
საი? აბა, მიიღე ისინი, წაიყვანე. დაე, ყრმობაში დატო-  
ვონ მათ ეს ძალღუმალური ქვეყანა, ვიღრე სუფთა სუ-  
ლი, და ბოროტი განზრახვებითა და ბოროტი საქმეებით  
ჯერ კიდევ შეურყვანელი, ბავშვური სინდისი გააჩნიათ,  
რომ არ განიცადონ ადამიანური ტანჯვა და არც თვი-  
თონ ჩააგდონ სხვები ამ სატანჯველში. მიიღე, შეიწირე  
ისინი, ენესაი!..

ტირიან, სლუკუნებენ ბიჭი და გოგო. აბა სადა აქვთ  
დედაბრის ქადაგების მოსმენის თავი, როცა ქარაფიდან  
დაბლა ჩახედვაც კი ჰზარაუთ. იქ, ძირს, გამძაფრებული  
ტალღები მიგორავენ.

— აბა, ბავშვებო, უკანასკნელად მოეხვიეთ ერთმა-  
ნეთს, დაემშვიდობეთ, — უთხრა მათ ჩოფურა, კოჭლმა  
დედაბერმა. თვითონ კი მკლავები დაიკაპიწა, რომ უფ-  
რო მარჯვედ გადააგდოს ისინი ქარაფიდან. მერე ეუბ-  
ნება: — მომიტევეთ, ბავშვებო, ჩანს, ასეთია თქვენი ბე-  
დი. თუმცა ამას ახლა ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ  
ჩავდივარ, მაგრამ, იცოდეთ, თქვენი კეთილდღეობისათ-  
ვის ვიქმ...

თქვა ეს სიტყვები თუ არა, მაშინვე გაისმა ხმა:  
— მოიცა, დიღო ბრძენო ქალო, ნუ დაღუპავ ამ

უცოდველ ბავშვებს.

შემობრუნდა ჩოფურა, კოჭლი დედაბერიც და  
დავს: მის წინ ფურირემი დგას. ვეება თვალები სევდითა  
და საყვედურით იმზირებთან. თვითონ ირემი თეთრია, რო-  
გორც ერთხაყოლი ფურის ხსენი; მუცელზე აქლემის კო-  
ზაკით მურა ბეწვი აქვს. რქები — აუწერელი სილამა-  
ზისა: შემოდგომის ხეების როკებზე თვითონ დაშლილი. ჯიქანი  
— მეძძური ქალის მკერდით სუფთა და გლუვი.

— ვინა ხარ? რატომ ლაპარაკობ ადამიანის ენით? —  
ჰკითხა ჩოფურა, კოჭლმა დედაბერმა.

— მე ფურირემი ვარ, — მიუგო მან. — ასე კი იმი-  
ტომ ვლაპარაკობ, რომ სხვაგვარად შენ ვერ გაძიგებ, არ  
დამიჯერებ.

— რა გსურს შენ, ფურირემო?  
— დაეხსენ ბავშვებს, დიღო ბრძენო ქალო. გვედე-  
რები, მომეცი ისინი მე.

— შენ რად გინდა ბავშვები?  
— ადამიანებმა მომიკლეს ორი ნუკრი და ჩემთვის  
შვილებს ვეძებ.

— შენ გინდა ესენი გაზარდო?  
— დიახ, დიღო ბრძენო ქალო.

— კარგად იფიქრე, ფურირემო? — გაიცინა ჩოფუ-  
რა, კოჭლმა დედაბერმა. — ესენიც ადამიანის ნაშიერები  
არიან. დაიზრდებიან და შენს ნუკრებს დახოცავენ.

— ისინი რომ დაიზრდებიან, ჩემს ნუკრებს არ მოკ-  
ლავენ, — უპასუხა მას ფურირემმა. — მე მათი დედა  
ციქნები, ისინი კი — ჩემი შვილები. განა ისინი ხელს  
აღმართავენ თავიანთ და-ძმებზე?

— ამას ნუ იტყვი, ფურირემო, შენ არ იცნობ ადამი-  
ანებს, — თავს იქნევდა ჩოფურა, კოჭლი დედაბერი. —  
არამც თუ ტყიურს, ისინი ერთმანეთსაც არ ინდობენ.  
მოგცემდი ამ ობლებს, რომ თვითონ დარწმუნებულიყავ  
ჩემი სიტყვების სიმართლეში, მაგრამ ამ ბავშვებსაც  
ადამიანები მოგიკლავენ. აბა რად გინდა ამდენი მწუხა-  
რება თავს. დაიტეხო?

— მე ბავშვებს შორეულ მხარეს წა-  
ვიყვან, სადაც მათ ვერავინ მიაგნებს.  
შეიბრალებ ბავშვები, დიღო ბრძენო  
ქალო. გაუშვი ისინი. მე მათთვის  
ერთგული დედა ვიქნები. ჯიქანი  
სავსე მაქვს რძით. ჩემი რძე ბავშვე-  
ბისათვის ტირის. რძე ბავშვებს  
მთხოვს.

— რა გაეწყობა, თუ ასეა, —  
წარმოთქვა ჩოფურა, კოჭლმა დედა-  
ბერმა ერთხანს ფიქრის შემდეგ. —  
წაიყვანე და სწრაფად გააშორე აქა-  
ურობას. წაიყვანე ობლები შენს  
შორეულ მხარეში. მაგრამ, თუ ისინი  
შორეულ გზებზე დაგედუპება, თუ  
მათ შემხვედრი ავაზაკები მოკლავენ,  
თუ შავ უმადურებს მოგიზღავენ  
სამაგიეროდ ადამიანის ნაშიერნი —  
შენს თავს დააბრალებ.

ფურირემმა მადლობა მოახსენა  
ჩოფურა, კოჭლ დედაბერს. ბიჭს და  
გოგოს კი უთხრა:

— ამიერიდან მე დედა ვარ თქვე-  
ნი, თქვენ კი ჩემი შვილები. წაიყ-  
ვანთ შორეულ მხარეში, სადაც დათო-  
ვლილ ტყიან მთებს შორის გაწოლი-  
ლია ცხელი ზღვა — ისიკ-ყული.



გაიხარეს ბიჭმა და გოგომ და მკვირცხლად აედევნენ ქორბუღა ფურირემს. მაგრამ მალე დაიქანცნენ, დასუსტდნენ. გზა კი შორი იყო — დედამიწის ერთი კუთხიდან მეორეში. შორს ვერ წავიდოდნენ, ფურირემს მათთვის ძუძუ რომ არ ეწოვებინა, ღამლამობით თავისი სხეულით არ გაეთბო. დიდხანს მიდიოდნენ, სულ უფრო შორს რჩებოდა უკან ძველი სამშობლო ენესაი, მაგრამ ახალ სამშობლომდე, ისიკ-ყულამდეც ჯერ კიდევ ბევრი იყო სავალი. ზაფხული და ზამთარი, გაზაფხული და ზაფხული, შემოდგომა, კიდევ ზაფხული და შემოდგომა მიიკვლევდნენ გზას უღრან ტყეებში, მცხუნვარე სტეპებში, მერწყვე ქვიშრობში, გადადიოდნენ მაღალ მთებზე, აბობოქრებულ მდინარეებზე, რამდენჯერ დაედევნათ მგლის ხროვა, მაგრამ ქორბუღა ფურირემი ბავშვებს ზურგზე შეისვამდა ხოლმე და ასე აღწევდნენ თავს გააფთრებულ მხეცებს. ცხენოსანი, მშვილდ-ისრებით შეიარაღებული მონადირეებიც დადევნებიათ ყვირილით: ირემს ბავშვები მოუტაცნია! არიქა, დაიჭით, არ გაუშვათ! — და ისრები დაუდევნებიათ. მათგანაც, უწყვეტი მხსნელებისაგანაც უხსნია ბავშვები ქორბუღას. იგი ისარზე უსწრაფესად გარბოდა და თან ბავშვებს ეჩურჩულებოდა: „მაგრად ჩამეჭიდეთ, შვილებო, — მღევარია!“

როგორც იქნა მიიყვანა ქორბუღა ფურირემმა თავისი შვილობილები ისიკ-ყულზე. იდგნენ ისინი მთაზე და უსაზღვრო იყო მათი გაცემა. ირგვლივ თოვლიანი ქედები, ხოლო მწვანე ტყით დაფარულ მთებს შუა, თვალის საწიერზე — ზღვა დგაფუნობს. ლურჯ წყალზე თეთრი ტალღები იქოჩრებიან, ქარი ერეკება მათ, შორიდან შორს. სად იწყება და სად თავდება ისიკ-ყული, ვერ გაიგებ. ერთი მხრიდან მზე რომ ამოიწვერება, მეორეზე ჯერ კიდევ ღამეა. რამდენი მთა შემოჯარულა ისიკ-ყულის ირგვლივ — ვერ დათვლი, ამ მთებს უკანაც კიდევ რამდენი ასეთი თოვლიანი მთა აღმართულა — ვერც ამას გამოიცნობ.

— ეს არის თქვენი ახალი სამშობლო, — უთხრა ბავშვებს ქორბუღა ფურირემმა. — აქ იცხოვრებთ, მიწას მოხნავთ, თევზს დაიჭერთ, საქონელს მოაშენებთ. იცხოვრებთ აქ მშვიდად, ათასწელს. დაე, გაგრძელდეს და გამრავლდეს გვარი თქვენი. დაე, ნუ დაივიწყებს შთამომავალი ენას, რომელიც აქ მოიტანეთ. დაე, მათ სულ სიტკბოში ილაპარაკონ და იმღერონ მშობლიურ ენაზე. იცხოვრეთ ისე, როგორც უნდა ცხოვრობდნენ ადამიანები. მე კი ვიქნები თქვენთან და თქვენს შვილთაშვილებთან აწ და მარადის...

აი, ასე და ამგვარად იპოვეს ახალი სამშობლო ბიჭმა და გოგომ, ყირგიზთა მოდგმის უკანასკნელმა შთამომავლებმა, კურთხეულ და მარადიულ ისიკ-ყულზე.

ხანი სწრაფად გამოხდა. ბიჭი ჯანიანი ვაჟკაცი დადგა, გოგონა კი მოწიფული ქალი. და მაშინ შეუღლდნენ ისინი, ცოლ-ქმარი გახდნენ. ქორბუღა ფურირემმაც არ დააგდო ისიკ-ყული და აჭაურ ტყეებში დაიღო ბინა.

ერთხელ, განთიადისას, აბობოქრდა ისიკ-ყული. აბორგდა. ქალს მშობიარობა დაეწყო. წვალობდა. კაცს შეეშინდა. კლდეზე აირბინა და ხმამაღლა მოყვა ძახილს: — სადა ხარ, ქორბუღა ფურირემო? გესმის, როგორ ბორბავს ისიკ-ყული? შენი ქალი მშობიარობს. მოდი ჩქარა, გვიშველე, ქორბუღა ფურირემო...

და მოისმა მაშინ შორიდან ჟღარუნის, თითქოს ქარავნის ზანზალაკები წკრიალებდნო. თანდათან სულ ახლოდან ისმოდა ეს ზარი. მოვარდა ქორბუღა ფურირემი,

თან მოიტანა რქებზე წამოცმული აკვანი — ბეშვიკი. ბეშვიკი თეთრი არყის ხისა იყო, სახელურზე ვერცხლის ზანზალაკი წკრიალებდა. იქიდან მოყოლებული იგი დღესაც წკრიალებს ისიკ-ყულზე დარწმუნლ ყველა აკვანზე. გეგონება, შორიდან ქორბუღა ფურირემი მორბის, იჩქარის, არყის ხის აკვანი მოაქვს რქებითო...

როგორც კი გამოჩნდა ქორბუღა ფურირემი, ქალმა შვა ბავშვი.

— ეს ბეშვიკი თქვენი პირველი შვილისაა, — უთხრა მათ ქორბუღა ფურირემმა. — შვილი ბევრი გეყოლებათ, შვიდი ვაჟი და შვიდი ქალი!


გაიხარა დედ-მამამ. ახალშობილს ქორბუღა ფურირემის პატივსაცემად ბუგუბაი დაარქვეს. გაიზარდა ბუგუბაი, კიპჩაკების გვარის ლამაზი ასული შვირთო ცოლად და დაიწყო გამრავლება ბუგუს გვარმა — ქორბუღა ფურირემის მოდგმამ. ბუგუს გვარი ისიკ-ყულზე დიდი და მძლე გახდა. ბუგუს შთამომავლები ქორბუღა ფურირემს წმინდანად რაცხდნენ. მათს იურტებზე, შესასვლელის თავზე, ამოქარგული იყო ნიშანი — ირმის რქები, რომ შორიდანაც ადვილი გასარჩევი ყოფილიყო — იურტა ბუგუს გვარს ეკუთვნოდა. როცა ბუგუელნი მტრის შემოსევას იგერიებდნენ, როცა დოღში სხვებს ეჯიბრებოდნენ, გა-



ისმოდა შეძახილი: „ბუგუ“ — და ყოველთვის ბუგუელები გამოდიოდნენ გამარჯვებულნი. ისიკ-ყულის ტყეებში კი იმ დროს ბინადრობდნენ თეთრი, ქორბუღა ირმები, რომელთა სილამაზე ცაში ვარსკვლავებს შურდათ. ისინი ქორბუღა ფურირემის ნაშვირები იყვნენ. მათ არავინ ერჩოდა. ირმის დანახვაზე ბუგუელი ცხენიდან ჩამოხტებოდა და გზას უთმობდა. საყვარელი ქალიშვილის სილამაზეს თეთრი ირემის სილამაზეს აღრიდნენ...

ასე იყო, ვიდრე არ გარდაიცვალა ერთი სახელგანთქმული, ძალზე მდიდარი ბუგუელი — მას მრავალი ცხვარი და ცხენი ჰყავდა და ირგვლივ მთელი ხალხი მის საქონელს მწყემსავდა. უზარმაზარი ქელეხი გადაუხადეს შვილებმა. ქელეხზე დედამიწის ყველა კუთხიდან იწვიეს





ყველაზე სახელოვანი ადამიანები. სტუმრებისთვის ისიყ-  
ყულის ნაპირზე ათასი კარავი გაშალეს. ვინ მოთვლის,  
რამდენი საკლავი დაიკლა, რამდენი კუმისი დილია,  
რამდენი ხორავი მიერთვა სტუმრებს. მდიდრის ვაჟიშვი-  
ლები თავმომწონედ დადიოდნენ: დაე, იცოდეს ხალხმა,  
რა მდიდარი და ხელგაშლილი მემკვიდრეები დარჩა მიც-  
ვალეზულს, როგორ პატივს სცემენ და ეთაყვანებიან მის  
ხსოვნას... („ეპ, შვილო ჩემო, ცუდია, როცა ადამიანები  
სიმდიდრით ბრწყინავენ და არა გონებით!“).

მიცვალეზულის ვაჟების მიერ ბოძებულ აბრეშუმის  
ხალათებსა და სისამურის ქუდებში გამოწყობილი მომ-  
ღერლები მათსავე ნაჩუქარ თოხარიკებს დააქროლებ-  
დნენ და ერთმანეთს ეცილებოდნენ მიცვალეზულისა და  
მისი მემკვიდრეების ქებათ-ქებაში.

— აბა დედამიწის ზურგზე სხვაგან სად ნახავ ასეთ  
ბედნიერ ცხოვრებას, ასეთ მდიდრულ ქელეხს? — მღე-  
რის ერთი.

— სამყაროს შექმნის დღიდან ამის მსგავსი ჯერ არ  
ყოფილა! — მღერის მეორე.

— სხვაგან არსად, მხოლოდ ჩვენთან სცემენ ასეთ  
პატივს მშობლებს, ასეთ პატივს მიუზღავენ მათ ხსოვნას,  
ეთაყვანებიან მათ წმინდა სახელს, — მღერის მესამე.

— ჰეი, თქვენ, ენამზიანო მომღერლებო, აბა რას ყა-  
ყანებთ! განა მოიძებნება დედამიწაზე ამ გულუხვობის  
საკადრისი სიტყვა, განა მოიძებნება სიტყვა, რომელიც  
მიცვალეზულის ღიღების ღირსი იქნება! — მღერის  
მეოთხე...

და ასე ეჯიბრებოდნენ ისინი ერთმანეთს ერთი დღე  
და ღამე. („ეპ, შვილო ჩემო, ცუდია, როდესაც მომღერ-  
ლები ერთმანეთს ხოტბის შესხმაში ეჯიბრებიან, მომ-  
ღერლებიდან ისინი სიმღერის მტრებად იქცევიან“).

ღღესასწაულივით რამდენიმე დღე გაგრძელდა ეს  
ცნობილი ქელეხი. გულით ეწადათ მდიდრის თავმომწო-  
ნე ვაჟიშვილებს, სხვები დაეჩრდილათ, ეჯობნათ ყველა-  
სათვის, რომ მათი სახელი მთელ დედამიწაზე გავარდნი-  
ლიყო, და გადაწყვიტეს მამის აკლდამაზე ირმის რქა და-  
ედგათ, რათა ყველას სცოდნოდა, რომ აქ არის განსასვენ-  
ებელი მათი ღიღებული წინაპრისა, ქორბუდა ფურირ-  
მის გვარიდან. („ეპ, შვილო ჩემო, ჯერ კიდევ ძველად  
ამბობდნენ: სიმდიდრე ამპარტავნობას ბადებს, ამპარ-  
ტავნობა კი უგუნურობას“).

მოინდომეს მდიდრის შვილებმა მამის ხსოვნისთვის  
ეს გაუგონარი პატივი ეცათ და ვერაფერმა ველარ შეაკა-  
ვა ისინი. ითქვა და გაკეთდა. გაგზავნეს მონადირეები,  
მოკლეს მონადირეებმა ირემი, წაახერხეს რქები — აფ-  
რენილი არწივის ფრთებივით გაშლილი, საყენი სიმაღ-  
ლისა. მოეწონათ ვაჟიშვილებს ირმის რქები: თითოზე  
თვრამეტ-თვრამეტი მორჩი — მაშასადამე, 18 წელი  
უცოცხლია. ღიღებულია! უბრძანეს ხელოსნებს, რქები  
აკლდამაზე დაემაგრებინათ.

მოხუცები აღშფოთდნენ:

— რა უფლებით მოკალით ირემი? ვინ გაბედა ქორ-  
ბუდა ფურირმის შთამომავლობაზე ხელის აღმართვა?  
მდიდრის მემკვიდრეები კი უპასუხებენ:

— ირემი ჩვენს მიწაზეა მოკლული. ყველაფერი, რაც  
დადის, დაცოცავს და დაფრენს ჩვენს სამფლობელოში,  
ბუზიდან დაწყებული აქლემით გათავებული — ჩვენი  
საკუთრებაა, და ჩვენ თვითონ ვიცით, რასაც ვუზამთ.  
მოგვწყდით თავიდან!

მსახურებმა ბერიკაცებს სულ შოლტები ურტყეს,  
ცხენებზე უკულმა შესვეს და თავლაფდასხმულები გა-  
მოყარეს.

აქედან დაიწყო... დიდი უბედურება დაატყდა თავს  
ქორბუდა ფურირმის შთამომავლობას. ახლა თითქმის  
ყველამ მიპყო ხელი თეთრ ირემზე ნადირობას. ყოველი  
ბუგუელი თავს მოვალედ რაცხდა, თავისი წინაპრის  
საფლავზე ირმის რქა დაედგა. ეს საქმე ახლა დიდ სიყე-  
თედ, მიცვალეზულთა ხსოვნის განსაკუთრებულ პატი-  
ვისცემად ითვლებოდა. ხოლო იმას, ვინც ვერ მოახერ-  
ხებდა რქის შოვნას, უღირს ადამიანად მიიჩნევდნენ. და-  
იწყეს ირმის რქებით ვაჭრობა, მისი წინასწარ მომა-  
რაგება.

ქორბუდა ფურირმის მოდგმაში გაჩნდნენ ადამიანე-  
ბი, რომელთაც საქმედ გაიხადეს ირმის რქების შოვნა და  
მათი ფულზე გაყიდვა. („ეპ, შვილო ჩემო, იქ კი, სადაც  
ფულია, კეთილ სიტყვას და სილამაზეს ადგილი არა  
აქვს“).

დადგა ისიყ-ყულის ტყეებში ირმების გადაშენების  
ჟამი. მათ დაუნდობლად ელეტდნენ. ირმებმა მიუვალ  
კლდეებს შეაფარეს თავი, მაგრამ იქაც მიაგნეს; მაძებარ  
ძალღებს მიუსევდნენ, რომ სახუნდარებში ჩამჭდარი მო-  
ნადირეებისათვის წამოერეკათ. ისინი კი აუცდენელად  
ისროდნენ, ირმების მთელ ჯოგს წყვეტდნენ. სანაძლეოს  
დებდნენ, ვინ უფრო მეტ მორჩიან რქებს იშოვიდა. და  
გადაშენდა ირემი. დაცარიელდა მთები. აღარ ისმოდა  
ირმის ბლავილი, აღარც შუალამისას და აღარც განთი-  
აღზე. აღარ ჩანდნენ ირმები ტყეში და მდელოზე, ველარ  
ნახავდი საძოვარზე, ველარ ნახავდი, როგორ მიქროდა  
ზურგზე რქებგადაწყობილი, როგორ ჩიტივით გადაე-  
ვლებოდა ქარავებს. გაჩნდნენ ადამიანები, რომელთაც სი-  
ცოცხლეში არც ერთხელ არ დაუკრავთ თვალი ირმის-  
თვის. მხოლოდ ზღაპრები გაუგონიათ მათზე და აკლდა-  
მებზე უნახავთ მათი რქები.

რა ბედი ეწია ქორბუდა ფურირემს?

განაწყენდა იგი. ძალიან გაუნაწყენდა ადამიანებს.  
ამბობენ, როდესაც ირმებს ტყეებისა და მაძებრებისა-  
გან გასაქანი აღარ მიეცათ, როცა ირემი თითზე ჩამოსათ-  
ვლელიდა დარჩა, ქორბუდა ფურირემი ასულა თურმე  
ყველაზე მაღალი მთის მწვერვალზე, გამოთხოვებია ისიყ-  
ყულს და თავისი უკანასკნელი შვილები დიდ უღელტე-  
ხილზე გადაუყვანია, სხვა მხარეში, სხვა მთებში.

აი, როგორი ამბები ხდება ქვეყანაზე. აი, მთელი ზღა-  
პარი. გინდა დაიჯერე, გინდა არა.

ხოლო როცა მიდიოდა, ქორბუდა ფურირემს უთ-  
ქვამს — აღარასოდეს მოგბრუნდებო...

# «აიჯას კიკას»



უზგული. მწვერვალი რუსთაველი და ჯანდა.

საბჭოთა მთამსვლელობის 50 წლის-  
თავს მიეძღვნა ბ. ძნელადის სახელობის  
პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის  
ნორჩ მთამსვლელთა ლაშქრობა ქვემო  
სვანეთში — ლენტიხის რაიონში.

ლაშქრობის მიზანი იყო საქართვე-  
ლოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის —  
ქვემო სვანეთის ნახვა, გადასვლა ზემო  
სვანეთში, ცხენისწყლისა და ვნგურის  
სათავეებში ასვლა, კავკასიონის მწვერ-  
ვლების ნახვა, მთამსვლელთა საბანაკო  
ცხოვრების გაცნობა, თეორიული ცოდ-  
ნის პრაქტიკულად განმტკიცება, „სსრკ  
ტურისტისა“ და „ნორჩი ტურისტის“

სამკერდე ნიშნებზე ნორმატივების ჩაბა-  
რება.

ლაშქრობა 16 ივლისს დაიწყო საქარ-  
თველოს ერთ-ერთი დიდი ინდუსტრი-  
ული ქალაქიდან — ქუთაისიდან. ქალა-  
ქის გაცნობის შემდეგ ვესტუმრეთ სა-  
თაფლიას ნაკრძალს. ეს არის კარსტული  
გამოქვაბული, დამშვენებული ზღაპრუ-  
ლი დარბაზებითა და გასასვლელებით,  
საოცარი ფორმის სტალაქტიტებითა და  
სტალაგმიტებით. იქ ნაპოვნია 120 მი-  
ლიონი წლის წინათ მცხოვრები გიგან-  
ტურ ძუძუმწოვართა — დინოზავრთა  
ნაკვალევი. ეს იყო უდიდესი აღმოჩენა  
მეცნიერებისათვის. მანამდე იყო დამკ-  
ვიდრებული აზრი, თითქმის კავკასია  
ახალი წარმოშობის ხმელეთია. დამტ-  
კიცდა, რომ 120 მილიონი წლის წინათ  
მეზოზოური ერის ცარცულ პერიოდში  
სათაფლია წარმოადგენდა ოკეანის ნა-  
პირს. დავათვალიერეთ აგრეთვე გელა-  
თის აკადემია. ენახეთ დავით აღმაშე-  
ნებლის საფლავი.

გელათიდან ქუთაისში დავბრუნდით  
და ავტომანქანებით გეზი ავიღეთ ლენ-  
ტიხის რაიონისაკენ.

გზა ცხენისწყლის ნაპირს მისდევს და  
რთულ მთის რელიეფზე. გადის. რაც  
უფრო მაღლა მივიწევთ, მით უფრო იშ-  
ვიათად გვხვდება სოფლები, შეფენილი  
მთის ტყიან ფერდობებზე. აქა-იქ თუ  
გამორჩდება ჯამისაგან ჩაშავებული,  
ბევრის მნახველი და ომგადახდილი სვა-  
ნური კოშკი. ცხენისწყლის ხეობა თან-  
დათან ვიწროვდება. ახლოს მოჩანს  
თოვლიანი მწვერვალები, მყინვარები.  
უკანასკნელი სოფლებია ცანა და ყო-  
რულდაში. ქვემო სვანეთის უკიდურეს  
ჩრდილო-აღმოსავლეთით ვართ. აქ, 2050


მეტრ სიმაღლეზე, თოვლ-ყინულოვანი  
მასივის — აილამასა და წურუნგალას  
ძირში მთამსვლელური ბანაკი „აილა-  
მაა“ მოწყობილი. იგი ერთადერთი ქარ-  
თული ბანაკია კავკასიონის ქედის სამ-  
ხრეთ ფერდობზე.

აქ ასალბედა მთამსვლელები ეუფლე-  
ბიან ტექნიკას, თანრიგონები რთულ  
მწვერვალებზე ადიან სხვადასხვა გზით,  
ბანაკში მომუშავე ინსტრუქტორები კი  
ზონაწილებენ მთამსვლელობის ჩემპი-  
ონატებსა და სარეკორდო ასვლებში.

მთამსვლელთა აზრით, „აილამა“ შე-  
სანიშნავ ადგილას არის მოწყობილი —  
მის გარშემო ასამდე დასალაშქრავი  
მწვერვალია. მწვერვალ აილამასა და  
ნამყვამს შორის, ყორულდაშის მყინვა-  
რიდან (2091 მ) სათავეს იღებს ყო-  
რულდაშის წყალი — ყველაზე დიდი  
შემდინარე ცხენისწყლისა.

ჩვენ ზესხოს ხეობაში ვართ, სადაც  
არცთუ დიდი ხნის წინათ გაიყვანეს  
გზა. თოვლიანი მწვერვალები, ტყით და-  
ფარული ფერდობები, ანკარა ნაკადუ-  
ლები და მთის მდინარეები, ალპური  
ყვავილები, სტუმართმოყვარე სვანები —  
ასეთია ზესხო, ანუ სვანურად — „ზისხ“  
(სისხლი). ეს სახელწოდება დაკავშირე-  
ბულია წარსულის სისხლიან ომებთან.  
ხეობაში, სოფლის მახლობლად შუა სა-  
უკუნეების ნასახლარებია. შემორჩენი-  
ლია მხოლოდ გელესისა და კოშკის ნა-  
შთები.

1938 წელს გამოჩენილი ქართველი  
მთამსვლელის ალიოზა ჯაფარიძის  
ჯგუფმა, რომელშიც იყვნენ ალექსანდრა  
ჯაფარიძე, ლევან გოთუა, კოტე ჯაფრი-  
შვილი და ვანო გალუსტოვი, ჩაატარა  
ასვლები და პირველამსვლელთა უფლე-



მარბრუტის ზეგმა



მთიანეთის მთიანეთი



შენათვის დროს

ბით მწვერვალებს მიაკუთვნა სახელები: სულხან-საბა ორბელიანი, ფანატე ნინო-შვილი, კოტე მარჯანიშვილი, შავი და თეთრი უცნობები... 1945 წელს კი მთავრობის დადგენილებით მწვერვალ შავ უცნობს ალიოშა ჯაფარიძის სახელი მიეკუთვნა. ჩვენი ბანაკი ამ მწვერვალის ძირში, ტყის ბეჭობზე, ორი მდინარის შესაყარში გაიშალა. ლაშქრობის მონაწილეები თვითონ ანთებდნენ კოცონს, ამზადებდნენ საჭმელს, კოცონის გარშემო საუბრობდნენ მთამსვლელობის ისტორიაზე, გამოჩენილ მოგზაურებზე...

სხვათა შორის, ინსტრუქტორ ზურაბ ზურაბიშვილის ხელმძღვანელობით დავეუფლეთ მთის მდინარეებზე გადასვლის წესებს. ამ ხეობაში გულთბილი შეხვედრა მოგვიწყეს მოსწავლე ახალგაზრდებმა. ჩვენთან სტუმრად ამოვიდა რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, ლენინის ორდენოსანი, ქვემო სვანეთში პირველი სკოლის დამაარსებელი სპირიდონ ონიანი, რომელმაც ძალიან საინტერესოდ გვიამბო ძველი და ახალი სვანეთის შესახებ.

აილამადან 20 კილომეტრის დაშო-

რებით — ჩიხარეშთან პატარა მინდორზე ჯდება ქუთაისიდან წამოსული თვითმფრინავი. ამ ადგილიდან 5 კილომეტრის დაცილებით, ლაშხეთის თემის სოფელ სასაშთან იწყება სამანქანო გზა რომელიც ზევით, წიწვოვან ტყეში მიდის მთების შუაგულში, პატარა მწვენი მინდორზეა ბანდოლოგური კურორტის მუშაში. მასობრივად, შუა ტყეში, მოწყობილია ლენტეხის რაიონის პიონერბანაკი. ბანაკის თანატოლმა გოგონებმა შეხვედრა მოგვიწყეს. დიდხანს გაგრძელდა სიმღერები და ცეკვები. ბანაკ „აილამადან“ გზა სვანეთის ქედზე — ლასდილისა და ატკვერის გადასვლისაკენ მიდის. („ლასდილი“ სვანურად სასადილო ადგილს ჰქვია. აქ ისვენებდნენ და საუზმობდნენ ქვემო სვანეთიდან ზემო სვანეთისაკენ მიმავალ მოგზაურები).

ატკვერის გადასავალზე ელქვიისა და სეტყვის მომასწავებელი შავი ღრუბელი წამოგვეწვია. ზურგჩანთებიდან სწრაფად ამოვიღეთ საწვიმრები. გარშემო ბალახიანი ფერდობები, ქვევით აქაფებულ მღვრიე მდინარე, არსად თავშესაფარი გადასავალის უმადლეს წერტილზე ვართ. გამაყრუებელ ჭექა-ქუხილს სეტყვა მოჰყვა, მაგრამ მალე ღრუბლები ნაფლეთებად იქცა და მათ შორის ღურჯი ცა გამოჩნდა.

ჩვენ უკვე ზემო სვანეთში, უშგულში ვართ. უშგული საქართველოში ყველაზე მაღალი — 2400 მეტრ სიმაღლეზე მდებარე სოფელია. გვზბლაგს საოცრად ლამაზი კოშკები, ვიწრო გასასვლელები, კოშკებზე მიკრული, ფიქალი ნაშენი მაჩუბები. მთის წვერზე აღმართული ზღაპრული ციხე-კოშკი თამარის სახელს ატარებს. ამას ყველაფერს განუმეორებელ ელფერს ჰმატებს რუსთაველისა და შხარას დათოვლილი მწვერვლები, ლამარიას ეკლესია და კოშკი. აქ თავმოყრილია ცენტრალური კავკასიონის ყველაზე მაღალი და რთული მწვერვლები, რომლებიც ხალდე-ბეზინგის ზღუდიდ არის ცნობილი (რუსთაველისა და შხარას მასივის გარდა, გესტოლაკათინი, დიხთაუ, ჯანდა, ნამყვამი) აქვე იღებს სათავეს საქართველოს ერთ-ერთი დიდი მდინარე ენგური.

სამხრეთის ფერდობიდან ამ მწვერვლების დაპყრობა ქართველ მთამსვლელებს მიღწევია. მწვერვლების დალაშქრის ტექნიკურ სინჯელს ისიც ემატება, რომ ამ რაიონს თავისი მიკროკლიმატი აქვს. დასავლეთიდან წამოსული ღრუბლები აქ იყრიან თავს, ხშირია ელქვი, რასაც სხვათა შორის, იმით ხსნიან, რომ ქანებში რკინის მადანია. მწვერვალთა მწკრივს აგრძელებენ წურუბგალა და აილამა, რომლის ძირში ასე საინტერესოდ გავატარეთ ლაშქრობის დღეები.

დენიზა გოჯალიშვილი.

# ნათელი გზა

(ბავშვთა ორხმიანი გუნდისათვის)

მუსიკა

ჯამალ ადამაშვილისა

ტექსტი

დილარ ივარაშვილი

მზე ცხრათვალა ცის სარკმლიდან  
ეს რა ფერებს ცრის,  
მდინარეში ვინ ჩაქიდა  
დიდი ტილო ცის.

ვინ დახატა მიწა  
ამ კაშკაშა მზით,  
მამულო, შენი დროშის ფრთას ვიცავთ,  
მტერი მას ვერ სრის.

მისამღერი: დილაო, დილაო, დელიოდელა.

2. ჩვენ მამების კვალს მივყვებით,  
ნათელია გზა.  
ამ იმედს და ამ დიდებას  
ვერ დაფუთმობთ სხვას.

ჩვენი ხალხი მძლავრი  
გვაწრთობს ყოველდღე.  
ჩვენ მივალთ წინ და ვისწრაფვით მაღლით,  
ვისმენთ მომავლის ხმებს.

მისამღერი: დილაო, დილაო...

Vivo / კოქსლად /

The musical score is written for a two-part children's choir. It begins with a tempo marking 'Vivo / კოქსლად /' and a dynamic marking 'mf'. The score is in 2/4 time and consists of 16 staves. The vocal parts are labeled 'მ-ა' (Soprano) and 'მ-ბ' (Alto). The lyrics are written in Georgian and are interspersed with the musical notation. The score includes various musical notations such as notes, rests, and dynamic markings. The piece concludes with a final chord.



**რძის სიკეთე**

პოლანდიელი სპეციალისტების გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ბავშვის ენერჯია დღის განმავლობაში დიდად არის დამოკიდებული იმაზე, დღია თუ არა დილით რძე.

შეისწავლეს 3-6 წლის ასაკის 1.200-ზე მეტი მოზარდი. მეცნიერები დარწმუნდნენ, რომ მათემატიკის გაკვეთილებს გაცილებით უკეთ ითვისებენ ის ბავშვები, რომლებიც ყოველ დილით სვამენ რძეს. ისინი აგრეთვე უფრო ორგანიზალურ ნახატებსაც ასრულებენ თავისუფალ თემებზე.

**კიდევ უფრო ჩრდილოეთით...**

კუნძულ გრენლანდიის ჩრდილოეთ ნაწილში, პირის მიწაზე, აღმოაჩინეს ნეშტები გსკიომხებისა, რომლებიც ოთხი ათასი წლის

წინათ ცხოვრობდნენ. მასხადამე, ესკიმოებში შორეულ წარსულში თურმე უფრო ჩრდილოეთით სახლობდნენ, ვიდრე აქამდე ეგონათ. ალბათ იქ მაშინ ჰავდა მკაცრი აოიუო, რასაც თვით კუნძულის სახელწოდებაც მოწმობს — „გრენლანდია“ „მწვანე ქვეყანას“ ნიშნავს. ის მიდამო, სადაც ამჟამად მარადიული მყინვარეთია, დიდი ხნის წინათ მწვანედ ყოფილა აბიზინებული.

**რა შერისბა თოვლი?**

ფერადი ფოტოგრაფიის წყალობით შესაძლებელი გახდა დამტკიცებულიყო, რომ დღე-ღამის სხვადასხვა დროს თოვლი სხვადასხვა ფერისაა. დილით, როცა მზე ამოიწვერება, თოვლს ცივი ვარდისფერი დაქრავს, ლურჯი ფერის კონტრასტული ჩრდილებით. შუადღისას თოვლის ფერი ოქროსფერს წაავავს, საღამოს კი იის ელფერს იღებს.

**არცერთი ცაცია...**

ინგლისელმა სწავლულმა ჯონათან მასგრევმა გულმოდგინე ანატომიური კვლევის შედეგად დაასკვნა: ნეანდერტალელებს შორის ცაცია ერთიც კი არა ყოფილაო. ყველაზე სანტიგრესო მაინც ის არის, რომ ნეანდერტალელები მარჯვენა და მარცხენა ხელს თანაბარი სიმარჯვით ხმარობდნენ.

**ნერვიულობის ნიშნები**

არაფერმა არ გასჭრა — არც შეგონებამ, არც თხოვნამ, არც პოლიციით დაშუქებამ: ანტერაპენის მკვიდრის, ბელგიელი ჟოზეფ ტანდინის ახალი მეზობლები ყოველდღე, გვიან ღამემდე აგრიანდებდნენ ფირსაკრავს. ნაირფეროვანი რეპერტუარი რომ ყოფილიყო, კიდევ ჰო, მაგრამ არა, — სულ ერთი და იგივე მუსიკა გაისმოდა. დაიტანჯა ჟოზეფი, და აი, ღამის პირველ საათზე, როცა კედელს მიღმა ყურისწამლებად ზმინებდა ქაწი, ტანდინი ჩაქუჩს დაავლო ხელი და რამდენჯერმე გამეტებით დაქკა კედელს. კედელი გასკდა და ჟოზეფმა გაოცებისაგან თვალები დაჭყიტა: გამსკდარი აღვილიდან



**ხელოვნების მუზეუმი**

სამხრეთ აფრიკა. ბერმა ის იყო ლოცვა დაამთავრა და დაცარიელებული ეკლესიის კარისკენ გაემართა, რომ მოულოდნელად თავს დაესხა ვეებერთელა იაგუარი. ის რაც ბერი-სა და მისი სამოსისაგან დარჩა, რამდენიმე დღის შემდეგ იპოვეს არგენტინის ქალაქ სან-ტაფეს მახლობელ ქალაში.

აზია. განთქმულმა მონადირემ ჯიმ კორბეტმა ინდოეთის ჭუნგლებში რა-

მდენიმე თვის დევნისა და უდიდესი ჯაფის შემდეგ მოკლა პანთერა, რომელმაც მანამდე 130 ადამიანი იმსხვერპლა. კიდევ უფრო საზარელი „რეკორდი“ დაამყარა სკონის პანთერამ — მან 200 კაცი გამოასალმა წუთისოფელს.

აფრიკა. ეთიოპიის ზოგიერთი რაიონის მცხოვრებლებმა დახოცეს ლეოპარდები, რომლებიც ბავშვებს იტაცებდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა მართო ერთ თვეში რვა ბავშვი მოიტაცა, სომალსა და კენიაში ჩიქები ახლაც თავს ესხმიან ადამიანებს.

ჯიქი და იაგუარი სამართლიანად ითვლებიან ყველაზე სისხლისმსმელ მხეცებად. მათი ხსენებაც კი შიშისმომგვრელია.

ეს მტაცებლები კატისებრთა ოჯახის ყველაზე დამახასიათებელი წარმომადგენლებია. საოცრად ძლიერი კუნთები, ბასრი ბრჭყალები, მძაფრ ყბები, წვეტიანი, ელვარე კბილები მანვილი ალღო, ჯველისებური მოქნილობა, განსაკვიფრებლად მსუბუქი, სწორუპოვარი მოძრაობა. — აი მათი მთავარი დამახასიათებელი ნიშნები.

აქვე, სიზუსტისათვის, უნდა ითქვას, რომ პანთერა და ლეოპარდი ერთი და იგივე ცხოველის — ჯიქის

სახელებია. ამ ონავარი ნადირის სიგრძე ორი მეტრია, კუდი — ერთი მეტრი, წონა — 100 კილოგრამზე მეტი. ამერიკის ტროპიკებში ცხოვრობს მისი თანამოძმე — იაგუარი.

თავიანთი სიდიდის შესაბამისად, ჯიქი და იაგუარი უღონიერესი ცხოველებია. მათ შეუძლიათ შეიდ მეტრზე გადახტომა, ოთხ მეტრზე ახტომა. როგორც შინაური კატა აღვილად აღის ხოლმე ტელეგრაფის ბოძზე, ისე ადიან ისინი უმაღლეს ხეზე და თავის წონაზე ოთხჯერ მძიმე ხანადირევიც კი ააქვთ.

ერთხელ მოგზაურებმა ასეთი რამ იხილეს: იაგუარი ცხენს მივარდა, მოკლა, პირი დაავლო და საკმაოდ განიერი მდინარე გადაცურა. საერთოდ, კატისებრნი, განსაკუთრებით





გასული საუკუნის ვერცხლის ფული ჩამოხვდება... განძი, როგორც ჩანს, სახლის წინააღმდეგ პატრონებს დარჩენიათ.

### რა უშაშია ვამოვანება?

ქველბური ტრადიციით, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში სასტუმროს ოთახების კედლებს ნახატებით რთავენ. იმავე ტრადიციით, ამ ნახატების ხარისხი ვერა დგას ხოლმე სასურველ დონეზე. და აი, ამერიკის ქალაქ ნაშვილის სამხატვრო საზოგადოებამ სასტუმროს მებატრონებს წინადადება მისცა: უგემოვნო სურათები შეცვალონ მსუბუქი და მოზდენილი თანამედროვე ესტამპებით (რამე გამოსახულების ანაბეჭდი ქალაქში, გრავიურებითა და ლითოგრაფიებით.



— იაგუარი, ჩინებულად ცურავენ. ერთ დღეს, მდინარე ამზონზე ნავით სეირნობის შემდეგ, სამი მეზღვაური გემზე ბრუნდებოდა. უეცრად წყლის ზედაპირზე იაგუარის თავი შეინიშნეს. სამთავემ რამდენჯერმე ესროლა მას, მაგრამ იაგუარი მხოლოდ დაიჭრა. როცა დაინახეს, გამძვივარებული ნადირი ჩვენკენ მოცურავსო, თავზარდაცემული მეზღვაურები პანტაპუნტით გადაეშენენ მდინარეში. იაგუარი კი ნავთან მიცურდა, ზედ აფოფხდა და... შშვიდად გაუყვა წყლის დინებას, თან ჭრილობას ილოკავდა.

ამ კატისებრ ცხოველებს ორი-სამი „ქნუტი“ უჩნდებათ. დედა მათ ჯუნგლში ზრდის, თან ფხიზლად დარაჯობს. ყოფილა შემთხვევა, როცა დედა იაგუარმა თურმე 50 კილომეტრი სდია ბუნაგთან წინდაუხედავად მიახლოებულ კაცს.

ახალგაზრდა კატისებრნი ნადირობენ ანტილოპაზე, ზებრაზე და ბევრ სხვა დიდრონ ცხოველებზე. სიბერეში კი მაიმუნებით, გარეული თხებთან და ფრინველებთანაც კმაყოფილდებიან. მათი ყველაზე ნუგბარი საქმელი მინც ძაღლია! ვეგონება, თითქოს დიდი სიამოვნებით აყრიდნენ ძაღლებზე ჯავრს ყველა იმ ტანჯვი-

სასტუმროს მებატრონებზე გადაჭრით უარი თქვეს. საქმე ის არის, რომ შიშიმ ჩარჩოებში ჩასმული დიდი სურათები ნაკლებ საზარალებელია — სასტუმროს მდგმურები მათ იოლად ვერ იპარავენ.

### მუსიკა წიწილეგისათვის

ეინჯელ-კემპის (აშშ, კალიფორნიის შტატი) რადიოსადგურის თანამშრომლებმა შეამჩნიეს, რომ მეზობელი ფერმერები რეპროდუქტორებს დგამენ საფრინველებსა და პირუტყვის სადგომებში. რაშია საქმე? თურმე მუსიკა აშვილებს ძროხებს, ქათმებიც მებტკვერცხს დებენ.

რადიოსადგურის დირექციამ ყურად იღო მსმენელთა სურვილი და შემოიღო ახალი საღამოს გადაცემა, სახელწოდებით: „მუსიკა საქათმისათვის“.

### ყველაზე...

...დიდი სურათი, რომელიც ოდესმე შეუქმნია მხატვარს, არის მისისიპის პანორამა. იგი შექმნა ჯონ ბონვარდმა 1848 წელს. ნურათის ფართობი 12.700 კვადრატული მეტრია.

...სქელი წიგნი — „სამხრეთის ისტორია“ გამოცემულია ამერიკის შეერთებულ შტატებში. მისი წონა 225 კილოგრამია, გვერდების გადასაფურცლავად 12-ცხენისძალიანი მოტორი აქვს დართული.



სათვის, რასაც ესენი კატისებრთა პატარა, შინაურ დებს აყენებენ.

კატისებრ ცხოველებს ჰყავთ უსაშინელები მტრები — მდიდარი, მაღალი წრის ქალები. მათი ახირებული გემოვნების გულისთვის მონადირეები უმოწყალოდ ხოცავენ ძვირფასბეწვიან არსებებს აზიაში, აფრიკაში, ამერიკაში. ჯიქისა და იაგუარის ტყავი ძალზე ძვირად ფასობს. მაგალითად, 1963 წელს ნიუ-იორკში ჯიქის ტყავი 15 000 დოლარად გაიყიდა; სომალის ჯიქის ტყავი პარიზში თითქმის რვა მილიონი ლირს. ეს არ არის გასაკვირი: ჯიქისა და იაგუარის მოკვლა ბევრ დროს, უზარმაზარ ჯაფას მოითხოვს, ხოლო ქალის ქურჭისათვის საჭიროა ხუთი-ექვსი ტყავი.

### უნდობლობა

სკოლიდან შინ მისულ პირველკლასელ პეტერს მამამ ჰკითხა:

— როგორ მოგეწონა, შვილო, მასწავლებელი?

— ძალიან კარგია, მამიკო, მაგრამ ყოველთვის არ დაეჭერება.

— როგორ?!

— ჯერ გვითხრა: ორს მივემართოთ ხუთი — შვიდი იქნებაო, მერე კი — სამი და ოთხი არისო შვიდი. მოდი და გაიგე, როდის არის მართალი!

### სწავლა და ზაფხული

— წლის რომელი დრო უფრო გიყვარს? — ჰკითხა მასწავლებელმა მართას.

— ყველა, გარდა ზაფხულისა.

— რატომ? — გაუკვირდა მასწავლებელს.

— იმიტომ, რომ ზაფხულში საშემოდგომოდ გამოყოფილი გამოცდებისათვის ვემზადები ხოლმე, — აუხსნა გოგონამ.

### ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია

ერთმა ახალგაზრდამ კომპოზიტორს კარზე დაუკაკუნა და ჰკითხა:

— უკაცრავად, ინჟინერი აქ ცხოვრობს?

— არა, ინჟინერი ორი ოქტავით მაღლაა — გამოსძახა კომპოზიტორმა.

### უმხვედრა

— გამარჯობა, კურტი, როგორ გამოცვლილხარ!

— მე კურტი არ მქვია.

— როგორ, სახელიც გამოიცვალე?

### შეუძლებელი

— იცი, რომ ნაპოლეონისათვის შეუძლებელი არაფერი არ არსებობდა?

— ნუთუ? ნეტავი კი რამენახა, როგორ ანთებდა ასანთის ღერს საპონზე!

სანაწივენი  
კობე

**რეპეტიციები**

თუ  
სწავლობ

**შეინახე!**

ფრინველის ფრენის საიდუმლო  
ცა კვლავაც მოუხსნის ბრძმა, თუ  
შეა მის ამონახსი დიდი ხანია დღე-  
ღამის სწავლებლებს, მაღლე ძმელი  
აბმონად იმს გამოარკვევს, რი-

გორ ახერხებს ფრინველი დიდი  
ენების დაუხარჯავად ზღვებსა და  
ოცებებზე გადაფრენს.  
და მთავრად ადამიანს ისევეა ფრე-  
ნი, გამოიწვევს ხა ბუნებას ახარსე-  
ბის პირიცილი — ძრავა და სახვე-  
რის ხრახნი. მაგრამ ბუნებრივი კონს-  
ტრუქციების უარსავეებლებოვა გი-  
რავა უწყობა: თვითმფრინავის ფრე-  
ნისათვის ათასგვარ შედეგ ინერჯა  
ინარქა, ვაირე ფრინველი ხარ-  
ჯებს (ესევეა, თვითმფრინავისა და  
ფრინველის წონის შეხასიათება).  
იმის გამო, რომ ფრენის საიდუმ-  
ლოება ჩვენ კიდევ არაა ამოხსნილი,  
ადამიანს საფრენი აპარატის — გე-  
რეო წოდებულ კუნთმფრინის კონს-  
ტრუქტორები სრახანან მანქანებს  
ქმნიან. მაგრამ ტექნიკის განვითარე-  
ვის კვალობაზე სავაიციოო ძრავების  
საიდუმლოც ვაშუქვებლობს სწავრე-  
ბა, კუნთმფრინის ძრავის, ე. ი. ად-  
მიანის საიდუმლოც კი შეიძლე შეზღუ-  
დულაა. სწორედ ამიტომ დიდივე კი-  
ობა: შესძლებს თუ არა, საერთოდ,  
ადამიანი ფრენას?

განაწარმოებინა და პრაქტიკა  
ცხადობებს, რომ შესძლებს, თუ-  
ცა ეს შიში შეხასილბლობის ხედავია.  
კონსტრუქტორულად კუნთმფრინე  
ძალეზე მსხვერპლადენე. მისი გა-  
მეგობრის სიჩქარე წამში 85-40 სანტი-  
მეტრის უტრის, დასაფრინებელია,  
რომ, თუ კუნთმფრინის წონა 50 კი-  
ლოგრამია, მფრინავისა კი — 60 კი-

ლოგრამა, აპარატის ფრინვისათვის  
საჭიროა 0,85 ცხენის ძალა.  
შეგრძელა, განიხილა ადამიანს ასეი  
ძალა? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა  
შეცხიბრებები ვეგეოლოგობაში. სპირ-  
ტსენს — ვეგეოლოგობის ძალეებს გა-  
ნასაზღვრელ დროის მონაცავებში სა-  
თაო 80 კილომეტრის სწრაფობა  
იარს. ამ დროს იგი 8,8 ცხენის ძა-  
ლას ვაითარებს.  
ფრთვ რთულია დამოუკიდებელად  
აფრენის პრობლემა. სტრატეგულ-  
დული რეგ ძალა მითხოვს, თუ-  
ცა ეს ძალა დროის შედარებით მც-  
ირე მონაცევით არის საჭირო. ცნო-  
ბილია, რომ ადამიანს შეუძლია მც-  
ირე ხნით რამდენიმე ცხენის ძალა გა-  
ნავითაროს.  
ადამიანი თავის ძალადობენ მაქსი-  
მალდობენ მანძილზე, როცა მისი  
ხელებისა და ფეხების კუნთები  
ერთდროულად მუშაობს, მაგალი-  
თად, ნიშნის მოხსნის. ადამიანის,  
როგორც „ძრავის“, სწორედ ამ  
უნარის თვალისწინებენ კუნთმფრ-  
ინის კონსტრუქტორები.  
კუნთმფრინის შექმნა ადვილი შორე-  
ული წარსულადვე მოიხს. ჩვენ კი  
დღე აქ საუკუნეში ლეონარდო და  
ვინჩი უტარდობები სწავლობდა ამ  
პრობლემაზე და კიდევ დავგატავა ხა-  
ინტერესო პრობლებები. მაგრამ ისინი  
მხოლოდ ჩაიდენებენ ამ პრობლემას  
და ისიც ამ უყარაინებენ ხანებში.  
რამდენიმე შედეგა ინტელსოზე ვულ-

მოადგინე მუშაობენ კუნთმფრინის  
შესაქმნელად: 1857 წელს პრეტენ-  
დოს სავაიციო საზოგადოებების  
შეიქმნა სპეციალური კომიტეტი,  
რომლის შეზღუდვებშია ამ დარ-  
ჯის მეცნიერების და ინჟინრების შე-  
ვადენე. 1858 წელს, მდიდარმა მარე-  
ვილმა ვ კრებებმა კუნთმფრინის  
წარმატებით ფრინვისათვის დაწესა  
პრემია — 5 ათას გირანჯა სტერ-  
დინი. მისი მომადობა ქრეატრობო-  
დურად შესწავლა. ამგვარი პრეტენ-  
დებმა უნდა შემოფრინოს ერთ-  
მანეთისაგან 80,46 მეტრით დაშორ-  
ებულნი, რომ მისი შორის მოთავსე-  
ბულ ტრასას, რომელსაც რეიანის  
ფრთმა აქვს. მოძიების სიმაღლე 8,05  
მეტრია. ფრენა და ფრენა მხოლოდ  
კუნთების ძალით უნდა განხორცი-  
ელდეს.  
კონსტრუქტორთა აზრით, ერთად-  
ვლიანად კუნთმფრინს ირავდობიან  
სქობის ერთი მომხრანი მთელ თავის  
ძალას ფრენის შიშინაში, შეიძრე კი  
— მხოლოდ ნაწილობრივ, რადგან  
მის აპარატის მართვა და ფრენის  
კონტროლი დავაგებებს.  
კუნთების პრემია კვლავ ეძლევა  
გამარტეველებს, ძნელია იმის წინას-  
მარტეველებმა, როდის და ვინ და-  
ისაყურებს მის, ამისათვისე პასუხის  
მომცემს სათავარი დასაშლ კითხ-  
ვზე: ჩვენი ფრინველი თუ არა ფრინ-  
ველია?

„მთი ბანანო-“

სიმონ ციპორივილი

**განმარტება ბოლშევიკები**

ამ წევსა მოთხოვობილია იმისგან მრავალს რე-  
ვიოლუციური მოცვენიების შესახებ. ხან განკლე-  
დელი და სხედობიანი გვა და ფოსტის უტარ-  
დობილიდან თურქობიან სპეციალს სოციალისტურ  
ჩისხასდობილად შეიარაღებულ ძალეებს მოა-  
ვარსადადობი გახდა. სამკოლაკო იმის ფრინვე-  
ლი ბრეკავს თუ ფრინველს, კობიშევის, ელიაპას და  
სპეციალს საუკუნეფოს სხვა სახედობი მოღვაწე-  
თა თანგებობით. უტარდობის სახედობი, ინტერ-  
ვენიების და შენაგან კონტრავოლუციის წინაა-  
მდეგ ბრძობითა და მრავალი ხელისუფლების  
წინაშე თვადობიან მან ჩაღრე დამახსნებია ამ  
დროისათვის უშაღვების რიგობი წოდელ დროს  
ირენი.

როდამ ჩანანობი

**მთხასმესტენი კვარტარი**

როდამ ჩანანობის მოთხოვობა „მთხასმესტენი  
კვარტარი“ ამ რიგობი წელს წინაა ჩვენი უტარ-  
დობის დაიბედა. ახლა იგი კვლავ წინააღ გავის-  
ცა გამოსიკვლობა „ნავადობის“.  
„...მთხასმესტენი კვარტარი რეიანის ფსკრზეა.  
იქ მფრინავი ადამიანის ცხოვრობენ. ცხოვრობენ  
და მეტყვავთ მათომებ, სწავლობენ, მომავალე  
ოცებობენ მათთან...  
თუ რა მოხდა შეზღვე, ამას მამის ვაიკებთ რო-  
ცა წელს წაიკობავთ.

სანაწივენი

კონსტრუქტორები

როცა განიხილა

მთხასმესტენი კვარტარი

კონსტრუქტორები

კონსტრუქტორები

**კონსტრუქტორები**



**სკორები**

მომზადე 80 სანტი-  
მეტრის სიგრძის წიბი. კა-  
რგი იქნება, თუ ბოლო-  
ებზე ვეგეოლოგობის სა-  
ბურავის ნაქრების წაწი-  
აშობავს.

1. წიბი მკერდამდე აი-  
ტანე, შემდეგ მაღლა აი-  
დღე, გაიჭიმე და კოხს შე-

ხედე. შემდეგ ისევ მკერ-  
დზე დაუშვი, ბოლოს კი  
ძირს ჩამოშვე. ასე გა-  
ვიტოვებ რიბრ.

2. წიბი ორივე ხელით  
მხრების სიმაღლეზე წინ  
დაიკვიე, დაიხარე და ჩერ-  
მარცხენა, შემდეგ მარქ-

ვესა ფეხი გადაახარე. გა-  
აკვირე წიბრ.

3. წიბი შეუდლად და-  
იკვიე და ზედ მარცხენა  
ხელის, თითი დაჭირე.  
შემდეგ ხელი უშვი და  
სწრაფად ჩაქვი, იატკა  
ხელისგულეთი სავრე-

მოქვი და ხელი სტაკე  
ისე, რომ ზედა დაჭირე  
ვერს მოსწრის. გაიმეორე  
ჯერ 6-8-ჯერ.

4. ფეხები გაშალე. წი-  
ბი ვერვლად ვაშევირე  
მარცხენა ხელით შევი-  
ლად დაიკვიე. შემდეგ და-

უშვი, შემოხარული და  
მარცხენა ხელით დაჭირე  
ისე, რომ ძირს არ დაი-  
ვირადღეს. ეს მოძიანობა მე-  
ორე ხელითაც ვაკვიტე.  
გაიმეორე 6-8-ჯერ.


5. წიბი ორივე ხელით  
წინ დაიკვიე, ხელით ხან

მარცხენა, ხან მარცხენა  
გადახარე, თან წიბი თავს  
უკან გადაიტანე. გაიმე-  
ორე 6-8-ჯერ.

6. წიბი მკერდის წინ  
დაიჭირე, ხელით მარცხ-  
ენა მოხარე; ხან ერთი  
ფეხით, ხან მეორით ას-


კიკნოლა ვაკვიტე. ერთ-  
დროულად კოხს მაღლა  
აიკვიტე და დაიჭირე.  
გაიმეორე 40-50 ნახტომი.

7. წიბი თითვე შევი-  
ლად შევიქნე და 80-40  
სანტიმეტრ ვადაღვი ისე, რომ  
არ ჩამვიცირადღეს.








ჯოხზე მიმაგრებული საწოლი სანტიმეტრით შეგიძლია იოლად გაზომო: ძნელადმისადგომი ობიექტები (მაგალითად, ორმოს სიღრმე, კედლის სიმაღლე და სხვ.).



როცა უჭრას სახელური მოძვრება, სანამ გააკეთებდე, უჭრის გამოსაწევად შეგიძლია ვანტუში იხმარო.



ასეთ სქელ ფიცარზე შეგიძლია იოლად მოაწყო სხვადასხვა სახის ხელსაწყოებს შესანახი.



სახაზავი დაფის კიდურზე მიმაგრებული პატარა მაგნიტი შეგიძლია სახაზავი ხელსაწყოების — რეისფედერის, ცირკულისა და სხვა ლითონის საგნების სამაგრად გამოიყენო.

## საკითხეული

ჩეკურიშვილი ვ. — ობლის კვერი (მოთხრობა. გაგრძელება)		ჯაღოსური სარკე	28
მოსწავლეთა შემოქმედება	8	ბუნების კარი	28
ბუნებრივი ვ. — კოტე მარჯანიშვილი (წერილი)	10	უცხოური იუმორი	29
ხაჩაშვილი ვ. — პატარა მსახიობები (მოთხრობა)	18	საინტერესო თემაზე	30
მიდელაური მ. — კაფიობა, სამშობლოს განთიადი (ლექსები)	12	სპორტი	80
ვიბაური ვ. — ბალადა ერთი ბიჭისა	18	ახალი წიგნები	81
აბთაბაძე ვ. — თეთრი ხომალდი (ნაწევები მოთხრობიდან)	19	გამოგადგები	82
გოგალაშვილი დ. — აილამას ძირას (წერილი)	25		

გარეკანის 1-ლ გვერდზე — „შემოდგომა“ მხატვარი ზ. მამხარიაშვილი.

მთავარი რედაქტორი ბაბუღია შელია.

სარედაქციო კოლეგია: შოთა ბაბუღია, ნოდარ გუგუშვილი, შოთა დვინაძე, სერგო კლდიაშვილი, გურამ ლეგიაშვილი, ზურაბ ლეგიაშვილი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხვილი (მხატვარი-რედაქტორი).

ჩვენი მისამართი:  
თბილისი, ლენინის ქ. № 14.  
ტელეფონები:  
რედაქტორის — 93-97-06  
93-31-81  
პ/მგ. მდივანის  
98-97-08 93-53-05  
განყოფილებების — 93-97-02  
93-97-01

საქ. კ. ც. ც. -ის გამომცემლობის სტამბა თბილისი ლენინის ქ. № 14.  
«ПИОНЕРИ» на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии  
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.  
\* გადაეცა ასაწყობად 17/VIII-72 წ. ხელმოწერილია დისბეჭდად 27/IX-72 წ. ქალბუღის ფორმატი  
60X90<sup>1</sup>/<sub>2</sub>. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,19.  
შეკვ. № 2806 ტირ. 129.700. უფ. 02024.

ფახი  
20  
კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.



შპეულად: 1. სითბოს გასაზომად დადგენილი ერთეული; 2. სახელმწიფო არაბეთში; 3. ნიკო

ტროდენის სიმძლავრის ერთეული; 16. მშვიდობიანი ხელშეკრულება; 17. მდინარე საფრანგეთში;


თის ძველი დედაქალაქი; 43. მეომრის საჭურველი ძველად; 45. ავსტრიის დედაქალაქი.

თარაზულად: 8. ხეობა კავკასიონზე; 9. გამომახილი, ანუ?.. 10. სხეულის თვისება — შეინარჩუნოს უძრაობა ან სწორხაზოვანი მოძრაობა; 13. ქართველი მწერალი; 14. სახალხო კრება ძველ საბერძნეთში; 15. ნაცვალსახელი; 18. საკონდიტრო ნაწარმი; 20. გამოჩენილი ქართველი მწერალი; 21. თევზის ჭიში; 24. რისიმე მთავარი აზრი; 26. ქალაქი ჩრდილოეთ იტალიაში; 27. შენობაზე გაკრული წარწერა; 28. ერაყის დედაქალაქი; 31. საომარი საჭურველის ზოგადი სახელი ძველად; 32. ალპური საძოვარი; 36. ნივთიერება, რომელიც ქვანახშირის შემადგენლობაში შედის; 38. სახელმწიფო ამერიკაში; 39. „ვეფხისტყაოსნის“ გმირი; 40. ფრინველი; 41. მწვერვალი კავკასიონზე; 42. გემის მამოძრავებელი საშუალება ძველად; 44. ბუნების მოვლენა; 46. მდინარე იაკუტიის ახსრში; 47. მტაცებელი ფრინველი; 48. ხე-მცენარე.



თეთრი და შავი

სცადეთ გააშვოთ კიდევ 16 უჯრედი ისე, რომ ყოველ კორიზონტალურ და ვერტიკალურ რიგში, აგრეთვე ორივე დიაგონალზე იყოს ოთხი თეთრი და ოთხი შავი უჯრედი.




ოთხი

რომში


თითოეული რომის კუთხეებში (იხ. ნახაზი) ისე არის განლაგებული ციფრები ერთიდან ცხრამდე, რომ მათი ჯამი უდრის 16.

სცადეთ ციფრების სხვანაირი დალაგებით მიიღოთ ჯამი: 17, 18, 19, 20, 22, 23 და 24.



შარბა

ხერთვისი.



ლომოურის მოთხრობა; 4. იშვიათი ლითონი; 5. ტროპიკული აზიისა და აფრიკის მცენარე, რომლისგანაც დამზადებულ საღებავს აღმოსავლეთში თმა-წვერიისა და ფრჩხილების შესაღებავად ხმარობენ; 6. მძლე-ღსნობის ერთ-ერთი სახეობა; 7. საბავშვო ჟურნალი; 11. ცნობილი საბჭოთა მოჭადრაკე; 12. ელექ-

19. მგალობელი ფრინველი; 22. საქართველოს ქალაქი; 23. დილა, ანუ?.. 25. მთები ირანში; 28. ერაყის დედაქალაქი; 29. მოხსენება გაწეული მუშაობის შესახებ; 30. ტემპი მუსიკაში; 33. დიდი კუთრი წინაღობის ლითონი; 34. ცნობილი საბჭოთა კომპოზიტორი და მუსიკათმცოდნე; 35. შეტევა, ანუ?.. 37. პოლონე-

28. კირუნა; 30. პიროგა; 31. ნიპონი; 32. იუნანი; 33. ელეგია; 34. ბის; 36 დანა; 37. ჩუვაშეთი; 39. ისლი; 41. აია; 42. არია; 44. არკა; 47. ელბა; 48. აბული; 49. ანაპა; 50. ობიხირო; 52. ხამამაცუ; 53. ბაირონი.

შვეულად: 1. კოკი; 2. ალპები; 3. ნილოსი; 4. მაია; 6. ხოკაიდო; 7. ილია; 9. ებრო; 10. ანადირი; 11. თერგი; 12. იენი; 14. კილი; 15. ურუპი;

პასუხი № 9-ში  
მოთავესაგულ  
„სხრაკლიგულზე“

თარაზულად: 5. კალიბინი; 6. ხარბინი; 8. ამერიკა; 11. თხილი; 13. იხვი; 14. კორფუ; 16. იორი; 17. ირკუტსკი; 18. ლური; 19. გიო; 21. იუტა; 23. კაიპოი; 25. ლილი; 26. ინა;

